

ნოდარ ადეიშვილი

სანთლების ყანა

ლელა მეტრეველი

მოგონებები ცისარტყელებზე

სამოქალაქო ინოვაციათა ცენტრი

თბილისი, 2009

მხატვარი

თამარ გაბროშვილი

გარეკანზე გამოყენებულია

კობა მეტრეველის ფოტოები

ყველა უფლება დაცულია

© ნოდარ ადეიშვილი, 2009

© ლელა მეტრეველი, 2009

ISBN 978-9941-0-1195-5

წინასიტყვაობა

ნოდარ ადგიშვილის ლექსების ამ კრებულს “სანთლების ყანა” ჩემმა კომპიუტერმა დაარქვა. ეს ნიშანი იყო, რომელმაც მაიძულა, პოეტის შემოქმედებაში ადვილად შესამჩნევი იებისა და ჩიტებისათვის დროებით გვერდი ამევლო და სანთლებზე დავფიქრებულიყავი. მერე მივხვდი, რომ ია და ჩიტიც სანთლები არიან, ვრცელ ყანაში მოციავე სანთლები, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა აზრობრივი დატვირთვა ჰქონდეთ, მაგრამ ყოველთვის სითბოსა და სინათლის გამოსხივების წყაროდ რჩებიან: **“ხედავ? იებმა გადაგირბინეს, // შეგაბეს ყელზე ლურჯი ეკვნები...”,** ან: **“დაუსტვინე, დაუსტვინე, ჩიტო, // ნეტავ უფრო ბევრი იყოს ჩიტები”**.

იქვე კიდევ ბევრი სანთელი ანათებს: პატარა და დიდი, კონკრეტული და აბსტრაქტული, წარსულიდან მოტანილი და მომავალში აღმოსაჩენი... ისინი ქმნიან ნოდარ ადგიშვილის განუმეორებელ პოეტურ ხმას, იმ მუსიკას, მხოლოდ ტაძარში რომ გვესმის და ცისკენ გვეწევა, განგვწმენდს, აგვამალლებს, სიყვარულში და სიყვარულით ცხოვრებას მოგვანდომებს.

ფიქრს დროში მოგზაურობა უყვარს. მეც ფიქრს გავყევი და გამახსენდა: ამ ორიოდე წლის წინ, დიქტოფონით ხელში, ბატონ ნოდარს დიდხანს ვესაუბრე. მერე აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც მან მითხრა, უკვე ვიცოდი მისივე შემოქმედებიდან. ამიტომ ვარჩიე, ჩემს კითხვებზე პასუხები პოეტს ისევ ლექსებით გაეცა. ჩვენი შინაგანი დიალოგი დაახლოებით ასე წარიმართა:

– რა არის სამშობლო?

– “იქნებ ესაა სამშობლო სულაც,
ამ აივნიდან რომ ვუცქერ სურათს:
ცხენი, მინდორი, თხმელა, შაშვები,
ლობე, გოდორი და წალდი ჯირკვზე,
ან ციცქნა გოგოს ტანის აშვება
მასავით ციცქნა ბიჭების ჯიბრზე!”

– ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

– “კვლავ ვიმეორებ:
ხომ ყველა მიყვარს,
ჩემს პოეტს მაინც დავითი ჰქვია”.

– რას ეტყოდით მკითხველს?

– “იცი: ლოდინი, ყვავილი, ჩერო,
და ღამისპირზე სინათლის წვეთიც,
მაგრამ არ იცი, ძვირფასო ჩემო,
ამ ციცქნა ლექსებს
რა სიმწრით ვწერდი”.

– გაზაფხულზე რა განწყობა გაქვთ?

– “გაზაფხულია, რამე ინატრე,
განა ყოველთვის გაგაწბილებენ...”

- _ სიყვარულის ფორმულა ხომ არ იცით?
- _ “გიყვარვარ _ რა უბრალოა, მიყვარხარ _ რარიგ ძნელი”.
- _ მეუღლეს როგორ მიმართავთ?
- _ “ან დამწყევლე, ან დამლოცე, რაღაც ჰქენი, გთხოვ...”
- _ რას ნანობთ?
- _ “ვინ გაიგებს, ვინ ვიყავი, ან წასვლისას რა ვისურვე...”
- _ ახალგაზრდობაზე რას ფიქრობთ?
- _ “როცა ვხედავ, ისევ უქშევთ ამ ზეციდან ყორანს, როცა ისევ დებთ ამ ქვაზე ყვავილების კონას, როგორ ვიტყვი ცისკარს შორად, წაგებულად ბრძოლას”...

ამ დიალოგს დღეს სხვაგვარად გავაგრძელებდი:

- _ საქართველოს რას ეტყვით?
- _ “სულ რომ სევდა ხარ და სინანული, ნეტავ როდის ხარ სამშობლო მხარე?”
- _ ქართლს რით ანუგეშებთ?
- _ “ჩემს შემდგომაც ასე ელის' ყველას, ვისაც ეყვარება, ქართლი _ თეთრი ირმის ყელი _ სულ რომ მგელი ეპარება”.
- _ რის იმედი გაქვთ?
- _ “შენ გენაცვალე, არ მოკვდე, მცხეთაც არის და ღმერთიცა”.

შეკითხვების დასმა შევწყვიტე, რადგან მივხვდი, რომ მთელი წიგნის ციტირება მომიწევდა. ისიც ცხადი გახდა, რომ ყოველი შეკითხვის პასუხად თითო სანთელი მაინც აინთო(დანარჩენების მოძებნა თქვენთვის მომინდვია!).

ფიქრმა ახლა იუსტაინ გორდერის “შობის საიდუმლო” გამახსენა: “...მიწაში ერთი მარცვალი ჩავარდა და ტაძრებისა და კათედრალების მთელი ყანა ამოიყვანა” (თარგმანი თამარ ჯაყელისა). გგული სიამაყით ამევსო: ნოდარ ადგიშვილმა უფრო ადრე და უფრო ლამაზად თქვა _ “სანთლების ყანა”. ველარ მოვითმინე და სანთლებისათვის სახელების დარქმევა გავაგრძელე.

სანთელი _ მონატრება:

“ხანდახან მომენატრები, გადავხვები ქარებს”.

სანთელი _ შვილებზე დარდი:

“რომ ერთხელ თქვენაც გაგიჭირდებათ გამოთხოვება მზის და მამულის...”

სანთელი _ ლელი:

“რა პატარა გოგო იყავ, ლელი,
რა ლამაზი ფრთები ჰქონდათ ჩიტებს”.

სანთელი _ ანა დედოფალი:

“ვიხსენებ იმ დროს, როცა არ ვიყავ
და მაინც გიძღვენ გული და ვარდი”.

სანთელი _ მაიკო ორბელიანი:

“ო, მშვენიერო,
ნუთუ შენც წაგყვა,
ნუთუ შენც წაგყვა ამ ქვეყნის ვალი?..”

სანთელი _ ნიკო ფიროსმანი:

“რა მოგივიდათ, მთელ ჩემს ქონებას
შევიდგამ მხარზე და გაგცილდებით...”

სანთელი _ თვითონ სანთელი:

“წავალ, სანთელს ავანთებ,
თუმცა სანამ ენთება?”

“სანამ საქართველოში ერთ ადამიანს მაინც ლექსი ეყვარება”, _
გავიფიქრე პასუხად და იმასაც მივხვდი, რომ “სიყვარულმა გამიტყუა”:
ნოდარ ადგიშვილის სანთლების ყანიდან ჩემთვის უძვირფასესი, თუ
შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი სანთლები შევარჩიე და შენ
შემოგთავაზე, ძვირფასო მკითხველო. შემოგთავაზე იმ იმედით, რა
იმედითაც ბატონი ნოდარი ბრძანებს:...

“ვუცქერ ღამეებს და სანთლებს ვხატავ:
ხომ შეიძლება, შენც მოგენათოს...”

ლელა მეტრეველი

სანთლების ყანა

ისეა, როგორც ვნატრობდით,
ის ერთი ნატვრაც სრულდება,
სამოთხის თეთრი ჩიტები
ფრენენ და
ფრენენ გუნდებად.

სანთლების ყანა ამოდის,
სანთლების ყანა პურდება...

კაი ლოცვით და გალობით,
ვინ თქვა, არ გაზაფხულდება.

სიხარულმა გამიხსენა

ვინატრე და ამოთენდა,
ამომწვანდა, ამობრწყინდა,
ჩვენი ძველისძველი მცხეთა,
ჩემი ძველი ყოვლადწმინდა.

სიხარულმა გამიხსენა,
სიყვარულმა გამიტყუა...
ისევ თეთრი ჩიტის სტვენა
საყდარსა და საყდარს შუა.

ჰოდა, ცა რომ მესინათლა,
იმ მტრედისფერ ცას ვუგალობ...
ალუბალო, მზე შინა და
მზე გარეთა, ალუბალო!

გულამდე ატანს...

როდისღა გერქვა ნეტავ ედემი,
როდისღა გვასხდა მხრებზე მტრედები...
მწარეა ჩვენი გულის სიმღერა,
თხელია ჩვენი ციხის კედელი...

მიდის დავითი, ფეხის ხმა მესმის,
მიდის თამარი, ფეხის ხმა მესმის,
გურამიშვილის ჩამესმის ლექსი,
ბარათაშვილის ჩამესმის ლექსი.

ცრემლის ხმაზე ვცნობ
ყველას, ვინც არი...
თხელია
ჩვენი ციხის კედელი,
გულამდე ატანს ყველა ისარი.

მგზავრები

ყველამ თავისი დროშა გაშალა,
ყველამ თქვა ქება თავის მთა-ბარის...
მეც გამოვალე ჩემი ფანჯარა,
მეც გადმოვფინე ჩემი ზღაპარი.

და მოვეფერე ჩემს სვეტიცხოველს:
როგორ წმინდაა, როგორ მტკიცეა...

და გული მტკივა,
რომ არ მიცნობენ,
და როგორ მიყვარს, რომ არ იციან.



გაზაფხულია...

გაზაფხულია, რამე ინატრე,
განა ყოველთვის გაგაწბილებენ,
განა ყოველთვის ცას და სინათლეს
თვალახვეული ანაწილებენ...

ხედავ? იებმა გადაგირბინეს,
შეგაბეს ყელზე ლურჯი ეჭვნები...

აწი საითაც უნდა გაფრინდე,
შენ არავისში არ შემეშლები.

უფრო მცირესთვის...

შენ ვალს უხდიდი წმინდა მაცხოვარს
და გენტო შენი თაფლის სანთელი...
_ ლუკა ბატონო! _ ღმერთმა გაცხოვნოს
შენი ფიფქით და შენი ფანტელით.
მთელი სიცოცხლე, საამოდ თვალის,
ფქვავდა და ფქვავდა შენი წისქვილი...

უფრო მცირესთვის
მოიკლეს თავი,
უფრო მცირესთვის
ერგოთ გვირგვინი.

წინაპართა ხმები

მაცალეთ, ხატი გავჭედო,
ხმალი გავჭედო, ვიქროლო,
მოვიმცხეთ-მოვიქაშვეთო,
მოვიქართლ-მოვიდიდგორო...

ყანა _ როდემდის მეჩხერი,
ცხენი _ როდემდის უნალო...

მერე თქვენ თქვენთვის,
მე _ ჩემთვის,
უხმლო, უხინჯო, უვალო.

იმ დროს...

იმ დროს, როდესაც ამსხვრევდნენ რითმას
და ნამსხვრევებში ტიროდა სტვირი,
შენ ისევ იყავ მდიდარი, რითაც
მდიდარი იყო წინაპრის სკივრი.

შენთვის კვლავ ერქვა მზისფერი _ მზისფერს,
მინდორი _ მინდორს, გუთანი _ გუთანს
და იდექ შენი რიონის პირზე
და წერდი ასე _კარგად თუ ცუდად:

_ თუ არც მდიდარი ვინმე ვარ,
აღარც ღარიბი ყმა ვარო,
ციდან რომ წვიმა იბნევა,
ზოგჯერ იმ წვიმას ვგავარო,
მინდა, შენს პეშვზე დავლევ სულს,
მინდა, კვლავ ცაში ავალო.

შენთან ყოფნა მიხაროდა...

ხომ კვლავ ბრწყინავს,
ხომ კვლავ მიხმობს
ხსოვნა ჩავლილ წყალთა,
აქეთ ყოფნა მიხაროდა,
იქით ყოფნა მკლავდა.

... ..

რაც დავკარგე,
რაც ვიპოვე
მე ვიცი და ჩემმა

ზოგჯერ ასე უმიზეზოდ
მორეულმა ცრემლმა.

სანთლები და...

ვხატავ მცხეთის გაზაფხულს და დროც მაქვს,
ყველა ტოტი ვთქვა: დილის და კვირტის,
მოვეფერო ყვავილების მოსვლას,
თეთრ ყვავილებს, ჭრელ ყვავილებს მინდვრის,
ვაზის ბწკალზე _ ჭიანჭველის ცოცვას,
ღელის პირას _ ფეხაკრეფას ნისლის...

ამაღამ რომ
ამნაირად მოჩანს,
რა იქნება
ეს ქვეყანა დღისით?!

მოვა ის დრო...

ეს ვარდებიც წავა თივად,
რაც არ უნდა ვემუდაროთ...
მოვა თოვლი, მოვა წვიმა,
მოვა სევდა, დედუფალო.

უკვე ვუცქერ დაღლილ ედემს,
შიგ მერცხლების შემკრთალ გროვას.

მოვა ის დროც,
რომლის შემდეგ
სიყვარული აღარ მოვა.

მკათათვე

ლხინიც ახლავსო ამ დღეებს, მაგრამ,
მითხარ, მოსალხენს რას ყვება ქარი!
აი, ის ლურჯი ყვავილიც ჩაქრა,
ჩაქრობაზეა ის ფიჭვის კვარიც.

ჟონავს სინათლე მკათათვის ღრუბლებს
და წყაროს პირას ვზივარ ეულად,

აქ ამ ჩიტვით მეც მქონდა ბუდე, –
დამდგარა ჟამი
და დანგრეულა.

აი, ჩემი საბატონო...

– ჩემო ციციქნა ქალბატონო! აი, ჩემი საბატონო, –
ვუთხარი და მოვატარე ეზო.
მოგეწონა, ქალბატონო, მზის და მთვარის საბატონო,
ეს ყვავილი, ეს ნიავი, ასე უმიზეზო?

მოდექი და უპატრონე, მოდექი და იბატონე,
ამ მაგალობელ იადონებს ანკი როგორ მიატოვებ,
აი, თითქოს გიცნეს...

და, როგორც ცის კაბადონი,
იღიმება ქალბატონი
და გაჰყურებს სივრცეს.

ობოლი გოგონები

მერე უცებ გაეპარა თვალს მათი
და გამოჩნდა საფლავი და კიპარისი...
იწურება გულის გული მოგონებით,
მაგრამ გული ტირილშიაც მორცხვია...
და ობოლი გოგონები დედის კაბებს
კეცავენ და კოცნიან.

ექსპრომტი

ვერც რა ია, ვერც რა ვარდი
ვერც გადამყრის გულის დარდებს,
ან საერთოდ რატომ გავჩნდი,
ანდა შენზე ასე ადრე...

მაინც გავშლი,
ან დაგიჭერ,
ან ჩავტოვებ წყალში ბადეს.

წავალ, სანთელს ავანთებ...

წელან ისე დაღამდა,
ალბათ არ გათენდება,
წავალ, სანთელს ავანთებ,
თუმცა სანამ ენთება?

არც მზეს ძალუძს,
არც მთვარეს
ამ ცის გამოკეთება...

ნანობს ჩიტო ჩიორა
გულში შემოფეთებას.

ი.-ს

სულ არ მგონია, სხვისი ხარ,
სხვისი და უცხოდ მარები,
იმდენჯერ დამსიზმრებიხარ,
სულ ვიცი შენი ხალები.

სულ ვიცი, შენი სამოსი
თვალს რას უმაღავს კაცისას,
დარზე წკრიალი წყაროსი,
მკერდზე ბრჭყვიალი ლალისა.

... ..

იმდენჯერ დამსიზმრებიხარ,
იმდენჯერ მიმამისია, _
სულ არ მგონია, სხვისი ხარ,
ან შენი რამე სხვისია.

ვაი, რა თხელი კაბაა,
ვაი, რა თხელი ნისლია.

სიმღერა

სოფლის თავს სამი წყაროა,
სამი სარკეა, ლელი,

ერთში შენ ჩანხარ,
ერთში _ მე,
ერთშიც _ პეპელა ჭრელი.

ვისია ცისკრის ციაგი,
ვარდი _ ტურფა და მწველი...

გიყვარვარ _ რა უბრალოა,
მიყვარხარ _ რარიგ ძნელი.

მხარე, სადაც....

ეს რა მაღალ ღობეს ღობავ,
გული ისეც მეხურება...
გადაფრინდნენ, გადმოფრინდნენ,
ფრთა გაშალონ ბელურებმა.

ჩიტიც
ცოლი არ გეგონოს,
ჩიტს სხვა მხარეც ეგულება,
მხარე, სადაც მის ნებაზე
ეყვარება, ეძულება...

... ..

ქმარი მაღალ ღობეს ღობავს,
ცოლი იღბალს ემდურება.

აღბათ სჯობდა...

ჩემი დარდი სხვა დარდია, _
სხვა თაღბების ნარჩენია...
ჯერ ისეც რა მბაღია,
ან რაცა მაქვს, რა ჩემია.

არ ჩამეღლო აღბათ სჯობღა,
როცა ვუცქერ ამ გზას ჩავღიღს...

ჩემი კვაღი ამა სოფღად _
ისე, როგორც
წყაღზე კვაღი.

დაუსტვინე, ჩიტო!

თეთრი ჩიტი შემჭკნარ იასამანზე
შეფრინდა და
ჩემს სადარდელს უსტვენს...
ქარის ფრთებზე გამიჭერთ სამარე,
ია-ია დამაფინეთ გულზე.

დღესაც მე ვარ, თუკი რამეს ვითხოვ,
დღესაც შენ ხარ, თუკი რამეს მპირდები.

დაუსტვინე,
დაუსტვინე, ჩიტო!
ნეტავ უფრო ბევრი იყოთ ჩიტები.

სამი ფერის ნანა

მისდევს შუკას სამი გოგო,
სამი ფერის ნანა,
უცქერის და უმარგლელი
რჩება სამ ბიჭს ყანა.

თავს უშველეთ, გოგონებო,
თავს უშველეთ, თორემ

წაგართმევენ მაგ სახელებს,
დაგარქმევენ ცოლებს....

– ცირა, წყალი!

– ცირა, ღვინო!

– ცირა, ცხელი თონე!

წყაროსთან

რა იქნა სიყრმის წყალობა, _
სურვილი ცაში ქროლვის...

შეყვარებული ვარო და
შაშვი,
კაკაბი, გნოლი
დაჰკაკანებდნენ წყაროსთან
თეთრი ვარდების გროვას...

არც მე ვჩქარობდი წამოსვლას, _
მოსწყურდება და მოვა.



მივედი და მივეფერე

მიყვარდი და არ გიყვარდი,
თეთრო გოგო, ფოფინაო,
ვარდი ვნახე, ბრიალებდა,
სხვისი ვარდი ყოფილაო.
ჩიტ ვნახე, წკრიალებდა,
სხვისი ჩიტი ყოფილაო,
ღელის პირას ცაცხვი ხმება,
ნისლზე ჩამოყრდნობილაო...
მივედი და
მივეფერე,
თეთრო გოგო,
ფოფინაო.

ბავშვობის სურათთან

გაფრინდი,
შეგრჩა ყველა სიამე,
ყველა ცხადი და ყველა ზღაპარი...
ხანდახან ახლაც ჩაიშრიალებ
ჩემს ღამეებში, მაგრამ სად არის
იმდროინდელი ცა და სიზმარი, _
თეთრი ჩიტები, თეთრი გალია...

მეზობლის გოგო წყევლას გიგზავნის,
შენ ლოცვად გესმის და გიხარია.

და მაინც...

შენს მოლოდინში ბროლის კოშკს ვაგებ,
შენს მოლოდინში მეცხრე ცას ვწვდები
და არაფერი ძალით და განგებ,
სუყველაფერი განგების ნებით.

სუყველაფერი იმ საყდრის ხათრით,
მდინარის პირას რომ დგას და ბრწყინავს...
და წყალზე ისევ მცურავი ხატი
და მკლავზე ისევ ნანატრი წვიმა...

და მაინც, ჩემო ყუმურის წყალო,
შენს ნაპირებთან წყურვილით ვკვდები,
ხანდახან როგორ არაფრის გამო
ყვავიან ხოლმე მამულის მთები!



სულს მოეწყინა...

სულს მოეწყინა თოვლი და თოვა,
თვალს _ თეთრი მთა და ველი,
ხომ ვიცი, ამ დროს არავინ მოვა
მე მაინც გიცდი, ლელი!

და ღმერთმა ნუ ქნას,
სულ ასე იყოს,
არ იყოს სადმე მარტიც,

ჟამი, როდესაც
თოვლწაყრილ სტრიქონს
იის სურნელი ასდის.

და დღემდე ასე...

სხვებმა რაც უნდა ის თქვან და წერონ,
შენ ჩემთვის მუდამ იმ ცის იქნები,
ხანდახან ფრთას რომ შემოჰკრავს წერო
და გადმოსცვივა თეთრი ფიფქები.

და შენც ნუ მეტყვი, თუ როსმე იყო
ქვეყნად ცალ-ცალკე ტბა და ლერწმები,

ალაზნის ველზე –
ვაზი და ჭიგო,
ენგურის თავზე – ცა და მერცხლები.

უმთვარო ღამე

როგორ სხვა იყო ეს მხარე წინათ,
როგორ ღვთის იყვნენ მათი ხიზნებიც ...

ვინ მოაბერტყა ფანჯრებს ეს წვიმა,
ვინ მოახვია სვეტებს ნისლეები?!

სად არის ახლა ის სიმთა ბრწყინვა,
ან მთვარის ტოტზე ჭრელი ციცრები ...

მე განა ახლა
ძილისთვის მძინავს? _
არამედ მისთვის, რომ ... მესიზმრები!

ჩემო მერცხალო...

ისევ მოფრინდი, ჩემო მერცხალო?
ისევ გაცდუნეს ამ მთა-გორებმა?
ან შენ დედულო, ზამთრით შემკრთალო,
ახლა მოსულო იის კონებად.

ისევ ერთად ვართ? ისევ გიყვარვარ?
ისევ ვერაფერს ვერ გახდა მტერი?..
ჩვენმა სამებამ ისევ იკმარა?
ისევ ასწია გალობამ ჭერი?

ეს დღე, რომელიც ღვთისგან ამენტო,
არ მინდა, ცრემლით რომ დამეცვაროს...
ან ვის რას უშლის შენი სამეფო
ამ აივნიდან, ჩემო მერცხალო!

მეფის ასული

ქვეყნად რაც უნდა ბედი გწყალობდეს,
რაც უნდა ვარსკვლავს ტყუპისცალობდე,
აქეთ წახვიდე, ველარ მობრუნდე, –
მაფრთხილებს ყველა, ამ გზით წასული,
მაგრამ შენ მაინც აქეთ მაქეზებ,
გაუცინარი მეფის ასული.

და მეც ვთვლი გზა-გზა
ვერცხლისფერ ჩიტებს
იმ მაშინდელი სიზმარ-ზღაპრების...

და მეცხრე ცამდე აზიდულ კიბეს
მივუყვები და
მივიზაფრები.

რომ ამ ჩიტივით...

არ ვმაღავ,
ან რა დასამალია,
რომ კვლავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი
და კვლავ გავძახი: _ ოქროს ნისკარტი! _
ჩიტს, დილის ზეცა რომ აბარია...

ასე ვაწებებ სტრიქონზე სტრიქონს
და სიმღერებით კარს ვუმტვრევ საკანს,

რომ, ამ ჩიტივით, შენც ცაში იყო
და არასოდეს
სხვასთან და
სხვაგან.

...

ღ. - ს

შენს მოღუშვას ვერც დღეს ვიტან,
თავს ცრემლებით ვერც დღეს ვირთობ,
მეც ის ჭრელი ჩიტი მზრდიდა,
შენ რომ გზრდიდა, ჩიტო-გვრიტო!

როდის გადავსულვარ სიტყვას,
დღეს რომ სხვა ვთქვა, ანდა როსმე
თუ ვინმეზე მითქვამს: "მიყვარს",
მხოლოდ შენზე _ ცაა მოწმე.

მხოლოდ შენთვის მითქვამს, რასაც
ყველა ყველას ვეღარ ეტყვის,
შენ აბრწყინებ ლალსაც, ბროლსაც,
შენ ხარ რაღაც შენზე მეტიც.

გიცქერ, გისმენ, სხვა რა მინდა,
შენმა მჭვრეტმა, სხვა რა ვჭვრიტო,
ჰოი, მეც ის ჩიტი მზრდიდა,
შენ რომ გზრდიდა, ჩიტო-გვრიტო!

ისევ მოდი...

წუხელ მაინც მთვარის ეტლმა
რა ღვთის მხარეს გამიტყუა,
რანაირად წკრიალებდი
ვარსკვლავსა და ვარსკვლავს შუა...

... ..

საღამოზე
იმ წყაროსთან
ისევ მოვალ, ისევ მოდი...

ნეტავ არ დამძინებოდა,
ნეტავ არ დამსიზმრებოდი.

მალე ალბათ...

ნუშის ტოტი კვლავ თეთრ ყვავილს ისხამს,
ჩემი ბაგე კვლავ ჩურჩულებს: _ მიყვარხარ.
ჰოდა, ამ დროს რა ვუთხრა იმ ისარს,
შეყვარებულ გულს რომ ვერ დაინახავს...

... ..

მალე, ალბათ,
სასმისს შხამით შევავსებ,
ვიტყვი:
ქვეყნად სულ ეს იყო, რაც მსურდა...

დაჰკნა ია ჩემი ჩითის პერანგზე,
შენი წყევლა, შენი კრულვა ასრულდა.

რამეთუ გჯერა...

რა მოგივიდა,
რა ფერგაცრეცილს
გხატავენ ახლა შენი მხატვრები...
თუმცა, მზე სადაც უნდა გაგეჟცეს,
ლამეს მაინც ვერ მიემატები,
რამეთუ გჯერა, რომ ვარდის შტო ხარ
და მეორედაც რომ მოხვალ ზეცით...

ოღონდ
დღეს რა ვქნათ მე და ამ ქოხმა,
ციოდეს მაინც, დაგინთოთ ცეცხლი.

წამომყვება და წავიყვან.....

არც მაჭანკლებით მოვსულვარ,
არც მხარზე გეზელ-ქორითა,
უბრალოდ, გულში ჩიტით და
ხელში იების კონითა.

წამომყვება და
წავიყვან,
არა და _ როგორც ენებოს...

დაწუნებულად კარგი ვარ,
ჩემო მთებო და ველებო!

მაგრამ არაფერს...

ისევ მაისის ფრთები და ზეცა,
ისევ ძველი გზით მიიწევს ნადი...

მახსოვს, წითელი კაბები გეცვათ
და ქარში გაყრილ ნაკვერჩხლებს ჰგავდით.

ნეტავი ახლა სად ხართ, სად დაფრენთ,
რა ფერის იებს კოცნით და კონავთ,

მახსოვს, მახსოვხართ,
მაგრამ არაფერს,
არაფერს აღარ აბრუნებს ხსოვნა.



შენი ცაცხვი და მთვარე

თითქოს არც ისე შორსა ხარ,
მაგრამ არც ისე ახლოს,
მოვისურვილო დანახვა
და სურვილ-სურვილ ვნახო

შენი
ნიში და ხატები,
შენი
ცაცხვი და მთვარე...

ხანდახან მომენატრები,
გადავებვევი ქარებს.



დედუფალა

რომ მგონია,
მისთვის ვანთებ ამ ჭრელ კარავს,
რომ მგონია,
მისთვის დავდევი ამ თეთრ ფარას,
რომ მგონია,
ქვეყნად მწყემსი ვერ მჯობს,

ზის სარკმელთან დედუფალა,
ზის სარკმელთან დედუფალა,
და სიყვარულს ეჭვობს...



ცრუობს, ცუდლუტობს...

როდის მიწყდება ეს წვიმა ნეტავ, –
ამ გულს ავდრებით როდის ვწამლობდი...
და აი, დღესაც მივნებდი სევდას,
ისევ ხვალეზე ფიქრის წყალობით.

როდის მოდგება მზე და აპრილი,
როდის ვიხილავ მინდვრებს ხნულიანს...

ცრუობს, ცუდლუტობს
ნუმის ყვავილი,
თორემ ჯერ რა დროს გაზაფხულია.

დღეს კი...

დიდხანს მიმაჩნდი უფლის წყალობად,
დიდხანს მეგონა, ცისას ყვებოდი
და მოგყვებოდი და მიხაროდა,
რომ არ ვიცოდი, სად მოგყვებოდი.

დღეს კი რა ვუყო, რომ ძველი ზღაპრის
დამარცხებული გმირივით გიმზერ,
თუმცა, არც შენ ხარ ახლა იმ კაბით
ჩამვლელი ჩემი რიონის პირზე.

ალბათ ის ბროლის კომკიც მოისრა,
დარჩა მარტოდენ ქვისგან ნაგები
თავშესაფარი, სადაც არასდროს
არ დაუკრავენ ოქროს ჩანგები.



ვინ გაიგებს ...

ცოცხალი ვარ _
არ გთხოვ საშველს,
მოვკვდები და _
არ გთხოვ ტირილს...
სიმღერებით ვიხდით სასჯელს
მე და ჩემი გუდა-სტვირი.

ვარ მიბმული თეთრი კრავით,
ვარ მიბმული ამ ლედვსულელს,
მოფრინდება მალე ყვავი,
გაფრინდება სული სულეთს.

ვინ გაიგებს, ვინ ვიყავი,
ან წასვლისას რა ვისურვე...



რამდენი რამ..

აქ რომ გუშინ წისქვილი და
ეკლესია ენთო,
სად წავიდა...

... ..

რამდენი რამ გვაპატიე, ღმერთო!

აშლის ზოგჯერ, აშლის სევდა
საყდარ-საყდარ ზარებს,
მაგრამ ვინღა გამოჰედავს
აწ იმ მზეს და მთვარეს.

მხოლოდ ერთი ეკლის ხეა,
ძველ ადგილს რომ არ თმობს,
ათოვს ჯვარცმის ეკლესიას
და საფლავებს ათოვს.

სადღა არის ის სინათლე,
აქ რომ რწმენას ენთო...

რამდენი რამ,
რამდენი რამ
გვაპატიე, ღმერთო!

ხომ არის...

რაკი უფალმა ასე ინება,
რაკი ამქვეყნად სხვა გზა არ არის,

ერქვას ამ წასვლას გასეირნება,
რაც უნდა მწარე იყოს სავალი...

ხომ არის ჩემი წილი სამარე
და სადმე
ნერგი იასამანის.



მზე ამოვა და ჩავა

წყალს მიაქვს სიზმრის კომკებიც,
ცხადის _ ყანაც და ნალიაც...
კი, რახან გავჩნდი, მოვკვდები,
მაგრამ რა შენი ბრალია,

და მეც არაფერს გემდური,_
მზე ამოვა და ჩავა...

რა ვიყავ შეყვარებული,
შემუღებული რა ვარ!

ქარების გამო

მერე რა, რომ უკვე არ წვიმს,
მერე რა, რომ უკვე არ თოვს...
ქარებს, ქვეყნად ქარის გაწვთნით,
არ სურთ, სიოდ მოინათლონ.

რაც უნდა თქვათ,
ავდრებს ცვლიან,
მაინც გულზე გავლით ქრიან.

ასი ფერის საკანი გაქვს,
ასივესი მდგმური მქვია...

როცა ჩავალ...

აბა, იგი რა გულია,
თუ შიგ ჩიტი არა მჯდარა,
ჩიტის ფრთებით მოხატულა
ჩემი გულის კარ-ფანჯარა.

უსტვენს ჩიტი, უსმენს გოგო
გაზაფხულის ავან-ჩავანს.

როცა ჩავალ,
სამარეშიც
ა იმ ჩიტის გულით ჩავალ.

ცისკრის ზარი

შენ გენაცვალე, არ მოკვდე,–
გული გაიპო ლერწამმა,–
შენ ოღონდ ფეხზე წამოდექ,
მე მოკვდე და მე წავალ.

გესმის?
ცისკრის ზარს ჩამოჰკრეს,
გესმის?
ცას გამოელვიდა...

შენ გენაცვალე, არ მოკვდე,
მცხეთაც არის და ღმერთიცა.

როცა ვხედავ...

როცა ვხედავ, ისევ უქშევთ ამ ზეციდან ყორანს,
როცა ისევ დებთ ამ ქვაზე ყვავილების კონას,
როგორ ვიტყვი ცისკარს შორად, წაგებულად ბრძოლას,

როგორ ვიტყვი,
მტკივან გულზე არ მიჩანს-თქო წამლად...

მადლი ნათელს,
ცოტას კიდევ ვილოცებ და წავალ.



ჩემი აღმოსავლეთი

მივიფურცლავდი ამინდს დარიანს
და წინ კახეთის გზები ბრწყინავდა...

_ ეს გალავანი სიღნაღს ავლია,
_ ეს ალავერდის თაღმა ინათა,
_ ესეც იყალთოს დიდი ზარია,
_ ესეც მდინარე
ცრემლის წვიმათა...

და ხელისგულზე ჭიამარიას
ვეფერებოდი და მიფრინავდა.

მაინც...

ხან მზე,
ხან მთვარე ბრიალებს მხარზე,
მიშვებული აქვს სადავე სურვილს...
ხომ შეიძლება, გაგრძელდეს ასე:
სიმი, სიმღერა, სინათლე, სული.
... ..

ო, ნურასოდეს შეგვიცვლი ამინდს,
სიყვარულისთვის გაჭრილებს ველად...

მოვა თუ არა
შენამდე, მაინც
ბედნიერია ამ გზაზე ყველა.

გამოვა დარი...

წამომეწია და აქრობს ბინდი
ყველაფერს, რასაც მზის წილად ვთვლიდი.
მაინც, რა უცებ დაიწყო წაშლა
ჩემს ალუბლებზე ფიფქის და ჩიტის.

მაგრამ ყოველთვის ხომ არ იწვიმებს,
გამოვა დარი, წავილილინებ:

თუ არ გიყვარვარ,
ნუ მომცემ იმედს,
თუ არ მოგწონვარ,
ნუ გამილიმებ!

ღმერთმა ნუ ქნას

ღმერთმა ნუ ქნას, რასაც ვნატრობ ახლა,
არ ამიხდეს, სხვა ემღეროს ბუკებს,
ყვავს ეფრინოს ტოროლაზე მაღლა,
ჭოტს ესტვინოს მოლაღურზე უკეთ.

ღმერთმა ნუ ქნას, ფრთა მოესხას ბინდებს,
გზა მოეჭრას ქვრივი ქალის წყევლას,

ღმერთმა ნუ ქნას, გახმოზოდეს ჩიტებს
ჩემი ეზოს
ტირიფი და თხმელა.

ქეთევან დედოფალი

ეფერებოდა მილეულ სანთელს:
_ ჩვენ ერთმანეთის ბევრი რამ გვმართებს.
და თუ ოდესმე კვლავ შევხვდით სადმე,
შევხვდებით, როგორც სანთელი სანთელს.

გარეთ კი დღესაც
ყვავილებს ველის
კვლავინდებურად მიიფენს ცელი...

მშვიდობით, მნათო,
მივალ, გახსოვდეს
შემოწირული გული და ცრემლი.

ვუკოცნი ფესვებს ...

რა დამავიწყებს მოხედვას თქვენკენ, _
ყვავილებს ლურჯი მონასტრის კართან,
დავიხრები და ვუკოცნი ფესვებს,
მე წინაპარიც ამ ბედის მყავდა...

და რომ წკარუნობს სიტყვაში სიტყვა,
და რომ სურნელობს იაში ია...

კვლავ ვიმეორებ:

_ ხომ ყველა მიყვარს,
ჩემს პოეტს მაინც დავითი ჰქვია.

ფიროსმანი

რა მოგივიდათ, მთელ ჩემს ქონებას
შევიდგამ მხარზე და გაგცილდებით,
ჩემად რომ ვთვლიდი მთელი ცხოვრება _
სხვისი ყოფილა ტყე და ჩიტები...

აი, თოვს, მაგრამ
ჩემსას რას ათოვს...

... ..

უკანასკნელი სანთლის პირისპირ
დავხუჭავ თვალებს,
თითქოს არასდროს
არ დამენახოთ შენ და თბილისი.

მაიკო ორბელიანის სურათთან

დარეკა ზარმა და შებრალებით
თითქოსდა სურათს შეეხო ზენა...
ვის ჰქონდა ასე ლურჯი თვალები,
ვის ჰქონდა ასე დაღლილი მზერა?

თითქოს დამეცა ფიფქი და გალღვა, –
საკმეველის ბოლი,
საკმეველის კვამლი...

ო, მშვენიერო,
ნუთუ შენც წაგყვა,
ნუთუ შენც წაგყვა ამ ქვეყნის ვალი?..

პაპამ თქვა

პაპამ თქვა: _ ვაი, სიბერეს,
ვაი, ხმას კართან ჯალათის...
შიგნიდან გამტყდარ ციხეებს,
თურმე, რას დავიფარავდით...

ტირილს
ისევ სჯობს, ვიმღერებ,
საფლავს სიმღერით ჩავალო,

მერე გახედა წიფელებს,
რა სანთლებივით ჩანანო...

აგვისტოს ღამე

ამ მხარეს მაინც სამშობლო ჰქვია,
ვარდს გესვრიან თუ ტყვიას.
რამ გამახსენა _ საგურამომდე
ერთგან მეჩხერი ტყეა.

რამ გამახსენა, რამ მომაგონა
ახლა ის ცა და მთვარე...

ეტლი.
ნიავი.

აგვისტოს ღამე:
ისე მიყვარხარ _ მკლავენ.

მეფე ლუარსაბ მეორე

ჯერ სად არი...
ქართლის ბედი
კიდევ ბევრჯერ დაგვაშორებს...

აპობს ნიკაპს ცრემლის წვეთი
და ნალის ხმა აფრთხობს ქორებს...

და მიფრინავს თეთრი ეტლი
და ჩამესმის ღამის მთევარს:

_ ჩემი მხსნელი მითხარ, თორემ,
შენ რომ გიხსნა,
ის მეფე ვარ...

ალექსანდრე საჯაიას ხსოვნას

დღემდე გასძახის ყვავილს ყვავილი,
დღემდე უხმობენ სიმებს სიმები,
აი, ის სახლი, რომლის აივნით
ეტრფოდნენ მთვარეს თეთრი ცირები.

აი, ის ჩხორი, რომლის ნიავი
თითქოს კვლავაც გთხოვს ყელმოღერებას...

შენს სამეგრელოს ჩემი გვიანი
ალუბლის ტოტი და მოფერება.

ანა დედოფალს

თავი ყველასთვის მდაბლად დამიკრავს,
ზოგის წინ, ალბათ, ბალახსაც ვგავდი...
ვიხსენებ იმ დროს, როცა არ ვიყავ
და მაინც გიძღვენ გული და ვარდი.

ნუთუ
კვლავ შენგან მიტყდება ძილი,
ნუთუ ამ ყოფას
კვლავ სიზმრის ჰქვია?

და ისევ
თაფლის სანთელი წყვილი...
და ისევ ზეცის კარები ღია.

მოლოდინით თვლენა

სხვამ იმდეროს, მე ჩემს სევდას მივეცემი ისევ...
სად წავიდა ის ყვავილი, ის ნიავი, ის მზე,
ან ბუხრის პირს მოხუც დედის მოლოდინით თვლენა,
რომელ მხარეს მოგიძიოთ დამკარგავმა თქვენმა?

ამოწყვება ზოგჯერ ცისკარს ფეხშიშველა ბიჭი
და მთელი დღე გულში იკრავს ჭრიჭინების ჭრიჭინს.

ვერ თმობს ამ ძველ კედელ-ყურეს,
ჩამქრალს უმიზეზოდ,
იავნანის ფერს და სურნელს,
პაპისეულ ეზოს.

9 აპრილის გახსენება

ნუთუ იმისთვის, რომ ვეღარ ვთმობდით
ერთხელ ერთმანეთს _ ნუთუ იმისთვის...

ნუთუ იმისთვის, რომ აღარ ვთრთოდი
ერთხელ მგლის შიშით _ ნუთუ იმისთვის.

ნუთუ იმისთვის, ქაშვეთის ბჭესთან
ერთად რომ ვჩანდით
ერი და ბერი...

ავუჯანყდებით ჟამი-ჟამ ბნელს და
ჟამი-ჟამ ისევ ვიქნებით ბევრი...

სხვა რა ვთხოვო...

სხვა რა ვთხოვო წკრიალს ხსოვნის ზარის,
ეტლს გამობმულ მთვარით სავსე მინდორს...
მოვიჩქარი, რომ ყვავილი ყვავილს
მივუმატო, გავიხსენო ის დრო,
რომ ვმღეროდით: _ ღმერთო, ნუღარ გვიწყენ,
თუ ამ ლხინშიც მოწყენილი გვნახო...

რუსთაველიც
სხვის მიწაში გვიწევს,
რანაირი მამული გვაქვს, ხალხო!

ლურჯი ფრთები...

განა შემაკრთო მოჯრილმა წლებმა,
ანდა დამაფრთხო სიმრავლემ მტრების,
მინდა, უბრალოდ, იცოდნენ სხვებმაც,
რა ცეცხლს მივაწვი ის ლურჯი ფრთები.

ნუთუ ვერასდროს ავუქმევ ბინდებს,
ნუთუ ვერასდროს ვიქნები მშვიდი...
რა უჭირთ ჩიტებს, რა უჭირთ ჩიტებს _'
საითაც უნდა, მიფრინავს ჩიტი...

და მეც გულს ვაფხან სავსე დარბაზებს
და არ ვუმაღავ, რახან მისმენენ,
რომ ეს ბილიკიც ლამისყანაზე
და წიწამურზე გადის ისევე.

მეტი რა მექნა

სანამდის გერქვა შენ სამწყსო ჩემი,
სანამდის შენი პატრონი მერქვა,
არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი,
რომ შენს წისქვილებს
ებრუნათ, ეფქვათ.

არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი,
მეტი რა მექნა, ჩემო ბედკრულო,

შენმა ნათებამ ჰქმნა ყველაფერი,
მე არაფერში არ დამემდურო...

იების კვამლი...

იქნებ ესაა სამშობლო სულაც,
ამ აივნიდან რომ ვუცქერ სურათს:
ცხენი, მინდორი, თხმელა, შაშვები,
ღობე, გოდორი და წალდი ჯირკზე,
ან ციცქნა გოგოს ტანის აშვება
მასავით ციცქნა ბიჭების ჯიბრზე!

ან ცოტა იქით _ წყარო და სურა,
ან უფრო იქით _
იების კვამლი...

იქნებ ესაა სამშობლო სულაც,
ამ აივნიდან რომ უცქერს თვალი?

ზოგჯერ...

როცა მიხილო ჩამქრალი კვარით,
არ ამარიდო, ძვირფასო, თვალი,
შენ, ვინც იცოდი, თუ რისთვის მკლავდნენ,
თუ რისთვის ჩხრეკდნენ ჩემს ღარიბ ხურჯინს,
ან, ერთგულს შენსას მიწიდან ცამდე,
თუ რისთვის მერქვა "უნდო" და "ურჩი".

ზოგჯერ შენს გამო რომ ვხვევდი მკლავებს,
დამარგე გულზე ის ეკლის ბუჩქი.

ზამთრის მოტივები

დაცხრა სული, ზამთრის არილს
როდის ამოჰყავდა ია...
ეს არც ბოლო სევდა არის,
და არც ბოლო გული მიაქვს...

ჩემს შემდგომაც ასე ელის,
ყველას, ვისაც ეყვარება,

ქართლი _
თეთრი ირმის ყელი _
სულ რომ მგელი ეპარება.

ღამე

რა კარგია ღამე:
მიხურული ფანჯარა, მიხურული კარი.
ვაფრიალებ ალმებს, ალმებს ფერად-ფერადებს,
რა კარგია ქარი.

რა კარგია – ვურევ ცხადს
სიზმრებს, ზღაპრებს, არაკებს
და არეულ ქვეყანას
ჩემს ნებაზე ვალაგებ.

არავის და არაფრის
თვალთვალი და შიში,
ვუყვარვარ და მიყვარს და
არც არავინ მიშლის.

მამულს

შენ კი არა, ჩემი ეტლის
ამბავს თვითონ ვეღარ ვიტან,
მაგრამ მაინც ნულარ მეტყვი,
ის რომ არ ვარ, ვინც შენ გინდა.

ისეც ვიწვი შენს კარებთან
ვალითა და
სირცხვილითა,

რომ ამდენი მტერი გყავს და
ვკვდები ჩემი სიკვდილითა.

სანამ ვუცქირო

მთაში თუ კუნესის ძმის სალამური,
ბარში მეც მოთქმით ამომყავს მთვარე,
როდემდე ვიყო ჯვარზე გაკრული,
დანატრეხული ჩემს ჩრდილს და მზვარეს.

სანამ ვისმინო ზარი გაბმული,
სანამ ვუცქირო ამ შეშლილ ქარებს.

სულ რომ სევდა ხარ და სინანული,
ნეტავ როდის ხარ
სამშობლო მხარე?

იმ დღეს...

არ ავუქშევ იმ დღეს ჭილყავას,
არც გზას ვკითხავ: _ გზაო, საით?
დავივიწყებ, როდის ვიყავ
მზის და მთვარის ნათესავი.

დავივიწყებ ლამაზ სიტყვებს:
მინდორს, ყანას, ვენახს, მდელოს...
არც შენს სახელს ვიტყვი იმდღეს,
ჩემო მუდამ სანატრელო.

წავუყრებ შრიალს ველთა,
არ ავყვები იმ დღეს სტრიქონს...
ისე წავალ, არ შეგხედავ,_
თუ ტანჯვაა, ტანჯვა იყოს.

შორს დარჩა...

კივის ჭოტი და გულის ძაფს აგნებს,
გულის ზარს აგნებს მწუხარე ლანდი.
შორს დარჩა სიყრმის ფრთები და გაგრა,
ფერი და სუნი მეწამულ ვარდის,
იმ ბზიფისპირის მზვარე და ჩერო,
იმ გულისპირის ლალი და ბროლი...

ო, რა მშვენივრად ღვარღვარებ, ცრემლო,
ამ მოზეიმე დარბაზებს შორის!

ვყვებით და ვყვებით...

მაინც რა ბედით მოვსულვარ, მიკვირს,
ნუთუ მარტოდენ ჯვარცმისთვის მიხმეს,
მოჩანს ბურუსში უწყვეტი რიგი
და რიგრიგობით მინგრევენ ციხეს...

მედავებიან მშობლიურ ცხრამთას,
ღვთის ზიარ მცხეთას, თქვენს ზიარ თბილისს.
ნეტავ ამგვარად როდემდე გასტანს,
ნეტავ ამგვარად სანამდე ვივლი.

მდინარის ნაპირს მივყვები, სადაც
ჩაგვრჩა ოდესღაც მკლავი და ტივი...
ვყვებით და ვყვებით გარდასულ ამბავს,
თითქოს ერთმანეთს ვახარბებთ ტკივილს.

რა საბრალოა...

ამ გზაზე კვლავ ის ქარები ქრიან,
მაგრამ რა ვუყო _ ქართლის გზა ჰქვია...
და მივუყვები და ვეფერები
სისხლისფერ ვარდს და ცრემლისფერ იას.

ჯერ კიდევ კრთის და ჯერ კიდევ მოჩანს
შარშანდელ თოვლის ნარჩენი მთებზე...
ჯერ ვერ აღმართა აპრილმა დროშა,
ჯერ ვერ ამოაქვთ ტკბილი ხმა ლერწმებს.

და ისევ დასდის გულისგულს კვნესა,
და ისევ ტირის ჭალებში ნისლი:
_ რა საბრალოა სახელი: ნესტან,
რა მწუხარეა ქვეყანა მისი...

დახრილი ჭერი

მაგრამ შენც თითქოს უმაღლესი იცანი
გმირები ჩემი სიზმარ-ზღაპრების...
მიქროდა ეტლი, სავსე ცისკარით,
მღეროდნენ გზები _ ცისკრის საფერი.

ეს მერე ვნახე დახრილი ჭერი
და ძველ წიგნებში ჩამჭკნარი ია,

ეს მერე ვნახე
კრწანისის ველი, _
ჩემი და შენი
სამარე ღია.

სიყმაწვილე

გადიწევა სარკმლის ფარდა, _
თვალს ზღვისფერი იტაცებს,
უფრო მეტი ცაში ვარ და
უფრო ცოტა _ მიწაზე...

შინაურნი შიშს მოუცავს,
შიშნარევი ხმებია,
შლის შავ კარტებს თეთრი ნუცა,
ჰოი, ნუცა ბებია!

დავბრუნდები, უთხარ ყველას,
შე ლამაზო ბებერო,
ცას ვინ გამოკერებია,
მე რომ გამოვეკერო.

ჩიორა

მერე რა, რომ უბრალო
ჩიტი იყო ჩიორა,
მერე რა, რომ მთელ ზამთარს
ციოდა და ჩიოდა...

... ..

მერე რა, რომ,
ჩემს გარდა,
აღარავინ მისტირის...

მოკვდა ალბათ საწყალი,
მოკვდა ისე, ჩიტივით.

თუ მოგენატრო...

წვიმს,
ყველას ჰყოფნის სევდა თავისი,
ისე არავის ტოვებს ტიალი...
მაგრამ ხომ არის აპრილ-მაისიც _
დრო სიყვარულის და ხეტიალის,

დრო, როცა ნუში ჰყვავის საყვარლად,
დრო, როცა მღერის თხმელის ტოტებიც...

თუ მოგენატრო, ისევ აქა ვარ,
ისევ მარტო ვარ
და გელოდები.

ჩემს მკითხველს

ის დაისებიც შენს გამო მწამდა,
შენს გამო მწამდა ცისკრის ფერებიც,

ხანდახან ახლაც გადავწევ ფარდას
და სტრიქონ-სტრიქონ მოგეფერები...

იცი: ლოდინი, ყვავილი, ჩერო,
და ღამისპირზე სინათლის წვეთიც,

მაგრამ არ იცი, ძვირფასო ჩემო,
ამ ციციქნა ლექსებს
რა სიმწრით ვწერდი.

ზღაპარ იყო...

მოდი, ნახე აპრილის ცა –
რა ფერი და რა დარია,
ჩიტ-გვრიტი მოფრენილა,
სხვა ჩიტები სად არიან?

მართალია შენი გოგო,
ჩემი ბიჭიც მართალია,
გზის პირს ია მოფენილა,
თვალი მისკენ გამპარვია...

ზღაპარ იყო ეს ქვეყანა
და ისევე ზღაპარია...

სულ რომ მეგონა....

როგორ გუშინდელ დღესავით მახსოვს
პირველი ლხინი _ ახალწლის ღამე...
ვუცდიდით სწორებს
და უფრო ახლოს
ვიწევდით ჩვენკენ ცარიელ სკამებს.

დამდგარა ჟამი, არვის მოველი
და მოწყენილი ვზივარ ბუხართან...

მაინც ეს არის ჩემი სოფელი,
სულ რომ მეგონა,
სხვებსაც უყვარდა.

ნასოფლარი...

სად ხარ, სიყრმის სიმღერავ _
ხმებო, ზეცით ნაცვარო,
გლახის ბიჭო, მიქელავ,
ჩიტის ნამოწაფარო...
იქნებ ზრუნვა შეგაკვლ,
მზე, გული ან მარილი,
იქნებ ჩიტის პერანგზე
ვერ დავქარგე ყვავილი,
იქნებ შენს საკადრისად
ვერ ვთასმავდი ქალამანს,
ფოთოლი ვარ ჭადრისა,
რატომ ძეწნის არა ვარ.
ვაი, ტკბილო სიმღერავ _
ხმებო, ზეცით ნაცვარო,
გლახის ბიჭო, მიქელავ,
ჩიტის ნამოწაფარო.

გზები გვიხმოზდნენ...

"შაშვი, კაკაბი შეიზნენ", _
ვუცქერ, ვუსმენ და ვშვიდდები...

ნეტავი კიდევ გაგრძელდეს
ეს დღე, ეს ტყე და ჩიტები.

ნეტავი ისევ მივდევდეთ,
გზებს, ია-ვარდით მოფენილს,

რა მოხდა, ერთხელ ნუ ვიტყვით _
ბინდისფერია სოფელი.

ხომ შეიძლება...

ვუცქერ ღამეებს და სანთლებს ვხატავ:
ხომ შეიძლება, შენც მოგენათოს,
ხომ შეიძლება, ამიხდეს ნატვრა,
ხომ შეიძლება, შენც მოგენატრო.

თითქოს საკუთარ გულს დამაშორეს,
სულ სხვა ტირილი ისმის გულიდან...
ნეტავი ახლა სად თამაშობენ,
სად ერთობიან სიყვარულითა.

სამდურავი

ასე მაინც ვინ დამწყევლა,
ეს რა ღვთის სასჯელია,
თუ რამე მჭირს, ისევ მე ვარ
და ეს მხარეც ჩემია,
სად დასეტყვილ გულს და მტევანს
კვლავ ცრემლები მისველებს.

... ..

დაღამდება _
ისევ მე ვარ,
გათენდება _
ისევ მე...

სხვამ იმღეროს...

ახლა მართლა სხვა რა ვქნა და
თავს ისევე დარდით ვიქცევ,
თვალს დამაკლდა, გულს დამაკლდა,
მოემატა ლექსებს სიგრძე.

ჰოდა, ვინც არ მითვლის ნაკლად,
მეც კარს ვუღებ ჩემი ტაძრის...
კი, ეს წვიმაც არ მძულს, მაგრამ,
რა კარგია, როცა არ წვიმს.

სხვამ იმღეროს, მე ისევე
ან ვიტყვებ, ან მოვუსმენ.
რას დარდობო, თუ მკითხავენ,
ვეტყვი, ვარდს-თქო, ამოუსვლელს.

რალა ჩვენ...

დაილოცება ერთხელაც
ის ავი დედინაცვალი,
ზეცის გულს ჩიტი მონახავს,
მიწის გულს _ ქერის მარცვალი.

და გაზაფხული წაგვიღებს
იაშებმული ჩანგებით...

რალა ჩვენ,
იმათ იდარდონ,
ვისაც ჩვენ დავეკარგებით.

როდის იყო...

რატომ მარტო კაკაბი და გნოლი,
შენი ერთი მაგალობელი მეც ვარ.
როდის იყო კარვებიდან შორი
მწყემსი ბიჭის მსხმოიარე ზეცა.

... ..

ნეტავ ის ხმა,
ნეტავ ის დრო მწველი...
მერე როგორ შევერიეთ ბინდებს...

რა პატარა გოგო იყავ, ლელი,
რა ლამაზი ფრთები ჰქონდათ ჩიტებს.

მაგრამ რა მექნა...

ეს მაშინ, როცა ჩვენს ბლებსაც ესხა,
როცა არც უნდა მეცქირა შურით,
თვალს ვერა ვწყვეტდი სიმწიფეს შენსას
და გასკდომამდე მიცემდა გული,
მაგრამ რა მექნა _
სხვის ბაღში შესვლას
კრძალავდა ჩემი ღმერთი და რჯული...

შვილებს

ხომ არც ვერცხლისფერ რაშს დააგელვებს,
მაინც ქარი სჯობს ღრუბლიან ამინდს...

რა საწუხარი აღარ მაბერებს,
მაგრამ ეს ერთი _ სხვაგვარად მაინც _

რომ ერთხელ თქვენაც აგიტირდებათ,
სტვირი იქნება თუ სალამური,

რომ ერთხელ თქვენაც გაგიჭირდებათ
გამოთხოვება
მზის და მამულის...

გუზიკოს

ან დამწყველე,
ან დამლოცე,
რადაც ჰქენი, გთხოვ,
თორემ ამ თეთრ სიჩუმეში
გულის გულშიც თოვს.

ან ჩემ გამო,
ან შენ გამო
ამოიღე ხმა,

თორემ
ცუდად მაქვს დაცდილი,
შენ რომ ჩუმად ხარ.

ალები და ლალები

განა რამე შეცვლილა, კვლავ ის ასპარეზია,
როგორც გინდა კარგად თქვი, თუკი არ შეგეწია
ბედი,
ბედი რომ ჰქვია _ ალები და ლალები,
თორემ ჩვენსას რითი სჯობს სხვათა ნატირალები:

_ ცოტა იაც მიბოძე, ცოტა ღვინოც მიბოძე,
ცოტა შენთვის ილოცე, ცოტაც ჩემთვის ილოცე.

სადღაც სატრფოს ელიან,
სადღაც _ ზრიალს ქარიშხლის.
სადღაც თოვლში კვდებიან,
სადღაც _ იის ყვავილში...

... ..

ან შენ როგორ დამტოვე,
ან მე როგორ გაგიშვი.

გაზაფხული

სალამი აპრილს!
რა კოხტაა, რა უბრალოა, _
კვლავ შემოსკუბდა
ლეღვის ტოტზე ჩიტი დაბუა...

მღერის,
ვმღერივარ
და შენ არ თქვა: რა ემღერება!

ვიტირებ კვლავაც,
თუ ტირილით რამე გამოვა.

ჩამიარა...

ჩამილიმა,
ჩამიარა,
გულში სევდა ჩამიტოვა,
სიყრმის ზეცა ჩაინავლა,
ჩიტის ფრთებზე დამითოვა,

მიდის წყალი და მივყავარ
ჩემივ ცრემლის წყალდიდობას.

ვდგავარ...

ვდგავარ,
საით გავყვე, ვფიქრობ,
ამ იის და ვარდის კვალსა...

ნუთუ ციდან უნდა იყოს,
აქ რომ ვინმემ კარი გახსნას!

ცაცხვით მთვრალი ფუტკარი ვარ,
ვაი, როგორ მიმიტყუა..

სულ ერთი დღის სტუმარი ვარ, _
სადმე მასპინძელი თუა.

შენ მახლობლად...

ვიქნევ ცელს და მე რომ მკითხონ,
ვარბევ დევებს იფნის სახრით,
აბა, ისე რას დაგიტომობთ
მოდგმა ძველი სიზმარ-ზღაპრის.

აბა, ისე ვინ დაგიტომობთ
ან ამ თვალებს,
ან ამ ტუჩებს.

შენ მახლობლად თივას ვთიბავ,
ფრთხილად ვთიბავ ცის სილურჯეს.

კოშკი დგას...

ვინ თქვა, ჩაქრა და ჩანელდა
თეთრი ვარდი და ედემი...

კოშკი დგას,
კოშკის კარებთან
ფანდურის სიმზე ვეტევი.

და ზეცას ისევ ესკვნება
სიმღერა ტირილნარევი:

ან ჩანმთქას აქვე ქვესკნელმა,
ანდა გაიღოს კარები.

თიბათვე

სად ხართ ობლის შემცოდენი,
სად ხართ, გული ისევ მტკივა...
არსად არვის ვეშორები,
მაგრამ მაინც არვისი ვარ.

მაინც თიბავს მეზობელი,
ემატება
თივა თივას...

ასე დამხვდა ეს სოფელი,
მეც ვერაფერს ვცვლი და მივალ.

როცა გიხსენებთ...

ჩემი ხიბლარის, ჩემი სოფლის შარა-შუკებო,
მაყვალს მიბმულო ბეკეკებო, თქვე შვლის ნუკრებო,
ტყემლის ხეებო, გაზაფხულის თეთრო ბუკებო,
სახლიკაცებო, ბატონებო, მაგრამ უყმებო.

როცა გიხსენებთ, მახსენდება _ ფესვით ყუნწამდი _
თქვენს სამოთხეში რა ოცნებებს მივიფურცლავდი.

რა ხმით მინდოდა, მოგხვეოდით, მოგფერებოდით,
ვაი, რომ
ვეღარ შეგაწიეთ ერთი კურცხალიც.

დაცხრი, დამშვიდდი...

როგორც უნდა თქვა, სხვისგან ჩამოხმა,
ის სხვაც ხომ იტყვის, თუ ვისგან ვკვდები,
დაცხრი, ისეთი განა რა მოხდა,
იმ ლამაზ ჩიტებს არ ესხათ ფრთები?

თუ რამ დავფარო, გამიჭკნეს ვარდი,
შავისგან თეთრი ვერ გავარჩიო,
... ..

პატარა გოგომ პატარა დარდი
მიძღვნა და მითხრა,
მშვიდობაშიო.

მამის გახსენება

მივალ, მივდენი ჭრელ ხბორებს,
ცისკრის ცაა და მინდორი...
არც კომბლით დავიწუნები,
არც მთებით დიდრონ-დიდრონით,
არც ნათლის კაბა-ჯუბითა,
არც მწუხრის ნიავ-ბინდობით,
... ..

მაინც მომყვება
შენი ხმა:
_ მე უფრო კარგი მინდოდი...

წასულა ის დრო...

წასულა ის დრო, ვარდს რომ ვფურცლავდი,
ცას რომ ვაწერდი, თუ როგორ მსურდი...
თუმცა, გამარცულს ფესვით ყუნწამდი,
სულს მაინც იის სურნელი უდის.

და კვლავ გრძელდება ძველი ზღაპარი
და კვლავ ვაგრძელებ დევებთან ჭიდილს...

და ეს ცხოვრებაც მეტი რა არი,
სანამ ვუყვარვართ,
რა კარგად მიდის.

ჩაიარა...

ჩაიარა სიყმაწვილემ,
თეთრი კარვის ფრიალმა,
გამხელილმა, დაფარულმა,
ნაადრევმა, გვიანმა.

მოწონებამ, დაწუნებამ,
სარკეებთან ტრიალმა,
სიხარულმა, სინანულმა,
ორივ ფერის იამა...

ჩაიარა სიყვარულმა,
თეთრი გოგოს ზიარმა.

ავტობორტრეტი

ის დღეში ასჯერ აიკრავს გუდას,
ის დღეში ასჯერ ამოწმებს აფრებს,
გაჭაღარავდა, თუმცაღა მუდამ
თქვენს ბილიკებზე ყვავილებს აფენს.

ამბობს:

_ ჩვენებურ მთებსა და მინდვრებს
აღბათ სხვაგვარი თარგიდან ჭრიდნენ...

და ისევ ისე
პეპელას კაბებს
ხატავს,
ქალაქის კედლებზე ჰკიდებს.

მოგონებები ცისარტყელებზე

1. სამშობლოს

ცისარტყელები ბავშვობის მინდვრებს
შვიდივე ფერის სხივით ქარგავდნენ,
მეგონა, მუდამ ასე იბრწყინებ,
ვინ უყურებდა ცას და ვარსკვლავებს.

გადაგვიქროლა მერე გრიგალმა,
ბედს ჩავაბარეთ ბევრი გამოცდა,
შვიდივე ფერი რომ შთანთქა დარდმა
და არემარე შავად გამოჩნდა,

მაშინვე ცისკენ დავიწყე ცქერა,
ვარსკვლავებს ვანდობ ბოლო იმედებს...
მაინც ჯიუტობს ბედის ვარსკვლავი,
ჩემთვის და შენთვის სხივს არ იმეტებს.

2. სიყვარულს

მახსოვს, გადაიხსნებოდა
წვიმის სველი ფარდა,
ცისარტყელა ერთი ხელის
გაწვდენაზე ჩანდა,
მივდევი, ვერ ვეწეოდი,
გამირბოდა თითქოს,
ვერ ვხვდებოდი, რომ ეს მხოლოდ
ილუზია იყო.

გავიზარდე, გავიცანი
ერიცა და ბერიც,
შენც შემოგხვდი, გაბრწყინებულს
შვიდზე მეტი ფერით
და მაინც ვერ მოგიხელთე,
გვერდით მდგომი თითქოს,
მოვა დრო და შენზეც ვიტყვი:
_ ილუზია იყო.



პატარა უფლისწულის მონოლოგი

რა ამოძირკვავს ამდენ ბაობაბს, _
ყველგან გაიდგეს უკვე ფესვები...
კანით კი არა, ამ ჩემს პლანეტას
ღია ჭრილობით თითქოს ვეხები

და მაინც ვტოვებ: გამიწყრა ვარდი,
სხვაგან კი იქნებ ბედსაც ვეწიო,
იქნებ მოვძებნო უცხო პლანეტა,
ამაზე უკეთ რომ დავეტო.

დავდივარ, ვხვდები: შინა სჯობს ყოფნა,
არც იდილია არსებობს სრული...
ვიმეტებ სხეულს, გიტოვებთ სხეულს,
რომ ისევ ვარდთან გაფრინდეს სული.

შეკითხვები ჩიტებს

როდისღა შეცვლით ამ თოვლ-ჭყაპს,
აპრილ-მაისის ჩითებო?
ყველანი ჩემს ფანჯარასთან
რამ მოგაგროვათ, ჩიტებო?

თქვენც ჩამოგემხოთ თავზე ცა
ცივ და ნისლიან ამინდად
და მოთმინება, თოვლივით,
თვალს და ხელს შუა დაგიდნათ?

რა თქვენზე წერა ამიტყდა,
გამაგებინეთ, რა გინდათ?!

* * *

შემოგჩვევიან ნისლები,
ჩემო ციხევ და გოდოლო...
ო, რა ლამაზად წითლდები,
ნეკერჩხლის მწვანე ფოთოლო!

სულ მალე უნდა აცივდეს,
სულ მალე უნდა მოთოვოს...
შენ საით წაფარფატდები,
ხეს რომ მოწყდები, ფოთოლო?

ამდენ სტრიქონს რომ მიგზავნი,
უსახლკაროვ და ობოლო,
ცას შეერევი თუ მიწას,
ნეკერჩხლის ხმელო ფოთოლო?

* * *

თითქოს გრძნობებს მოერია რული
და სიცოცხლის ნამცეცებსღა ვკენკავ...
მომაპყარი,
მომაპყარი ყური,
სიყვარულის სამრეკლოდან ვრეკავ!

სიყვარულმა უნდა დაძრას მძთები
და შეგვასხას, ჩიტებივით, ფრთები...
გამიხსენი,
გამიხსენი გული,
შემოვალ და იად ავყვავდები.

დღეს იმედის ნამცეცებსღა ვკენკავ
და, რომ რწმენას არ გაუჩნდეს ბზარი,
სიყვარულის
სამრეკლოდან ვრეკავ
სევადიან ვერცხლის დედოზარით.

* * *

ბევრი რამ უკვე გახდა სულერთი,
ბევრ გრძნობას უკვე სძინავს
და მახსენებენ ძველი ლექსები,
რაზე ვფიქრობდი წინათ,

რა ხმებს, რა ბგერებს აფრქვევდა მაშინ
გიტარის სიმი შვიდი...
გზას მივუყვები დასავლისაკენ
ცარიელი და მშვიდი.

ქართველ პოეტს

არც სიხარულით გხვდებიან,
არც მოუთმელად გელიან,
რაც უნდა გული გწყდებოდეს,
სოფელი მაინც ჭრელია.

ნუ ელი, არვინ იყვირებს,
მეფე არისო შიშველი,
რაც უნდა გული რკინობდეს,
ხის აბჯარი ვერ გიშველის,

ვერც ლექსი... თუმცა გგონია,
ცას მიედგმება კიბედო...
აქ კი, მიწაზე, არ იცი,
თავი რით დაიიმედო!

სიყვარულის გზაზე

ბევრი ეკალი, ძეძვი და ბარდი
და გული, სიყვარულისთვის ღია...
ჰო, არ არსებობს უეკლო ვარდი,
მაგრამ არსებობს უეკლო ია.

ყველაფერს ბედსაც ნუ დააბრალებ:
ცად ღრუბელმა რომ გადაიკაროს,
იქნებ უეკლო იას დასჯერდე,
მორცხვი სილურჯის ფლობა იკმარო.

* * *

ვარსკვლავიანო ღამეო,
იქნება მითხრა რამეო,
ტიალი წუთისოფელი
ასე რად დავადამეო?
სხვისთვის რომ ია ყვაოდა,
ის მდელი ცრემლით ვნამეო,
საით წავიდე, ვის შევხვდე,
იქნებ მირჩიო რამეო.

პოეტი და მკითხველი (ვარიაციები)

1

აქ პოეტები ყელყელაობენ,
არ დაგიდევთო არსებულ წესებს,
იქ ამორფული დედაკაცები
ხოტბას ასხამენ ამორფულ ლექსებს.

აქ – “მაღალმხატვრულ” სიტყვათა ზვინი,
იქ – აღტაცება გაუგებარით,
აქაც და იქაც ნიჭს მირონცხებულს
ჩასაფრებია ბედი მდევარი.

2

მეკითხები: “როგორია შენი კრედო?”
მეუბნები: “ხალხი გადაგვარდა”.
იცი? კრედო პოეზიას არ უხდება,
ერთადერთი კრედოს – ნიჭის გარდა.

3

სწორედ ისე, ხეები რომ იბელება,
ჩვენც გვიდგება ლექსთაცვენის ჟამი
და რატომღაც დღეში ლექსი იწერება
ერთი, ორი, სამი...

ჭრელაჭრულა ზმანებები ჰგავს ხის ძირში
მიმოფანტულ შემოდგომის ფოთოლს...
თქვენ გაარჩევთ, ჩვენს ხურჯინში (ანუ წიგნში)
სპილენძია, ვერცხლია თუ ოქრო.

ისევ ჩემთვის წვიმს და ჩემთვის ელავს,
მაინც სიტყვებს ვკრეფ ციდან, მიწიდან...
ო, რა ძლიერი გეგონეთ ყველას
და არ იცოდით, როგორ მიჭირდა.

მიჭირდა, მიჭირს და როცა ცრემლი,
თითების ნაცვლად, აჟღერებს სიმებს,
"მაგრამ რადგანაც..." გამახსენდება
ბარათაშვილი და ... გავიღიმებ.

ცრემლი უკვალოდ მაინც არ ქრება,
მაინც არ დგება გული საგულეს
და სულ მგონია, ლექსს კი არა ვწერ,
ტკივილის კედელს ვუწყობ აგურებს.

* * *

დაასამარებს ყვითელ ფოთლებს
თეთრი ზამთარი,
იქცევა სითბოს მოგონებად
ცეცხლი ჩამქრალი.

სურათს შერჩება
გაფრენილი შენი ბავშვობა,
თავს მოგაბეზრებს
ამა სოფლის უკუღმართობა.

შემოგეჩვევა ეჭვის ჭია:
“სიცოცხლე არ ღირს”
და, სიკვდილამდე,
სიყვარულზე ოცნებობ მაინც.

საღამოს გზა

1

წინ მიგვიძლოდა ქართლის საღამო,
უკან რჩებოდა მუხრანი, ქანდა,
რუხ ღრუბლებს შორის ჩამავალი მზე
ნაცარწაყრილი ღველფივით ჩანდა.

2

მზე დაიღალა, ქედზე წამოწვა
და ალისფერი დახუჭა თვალი,
ახლა მთის მიღმა თავისთვის იწვის,
არეულია კვამლი და ალი.

ჰოდა, რაკი მზე თვალს მიეფარა,
ჩამოიქუფრა არე და მარე
და ღრუბლებიდან სიმრგვალით ვარჩევ
თეთრ-ნაცრისფერად მოცქერალ მთვარეს.

მეც დავიღალე... გზა სად წამიყვანს,
თუ ახლა წამით დავხუჭავ თვალებს?!

კითხვა

სადამოსპირი. ტერასებად ლაგდება ირგვლივ ქართლის ზეგანზე: მწვანე ფიჭვი, წითელი თრიმლი, ქედები _ რუხი, ალაგ-ალაგ თოვლმეპარული, ცა _ ერთფეროვნად ნაცრისფერი და უღიმღამო. უღიმღამოდვე დამთავრდება ნეტავ სადამო?

სახალწლო

ნაღვლიანი და
შავი ფიქრები
ახალწლის ღამეს
უკან იხევენ
და ამ ბრჭყვიალა
სათამაშოებს
ბავშვობის სუნი
დაკრავს ისევე.
ნამვის ხის ტოტებს
ისე ვეხები,
თითქოს ხატის წინ
მუხლებზე ვდგავარ
და ახალ წელს და
ძველ ეკლესიას
ისევ ვავედრებ
ყველაზე მთავარს:
– ვეღარას ვარჩევ...
ფერად ოცნებებს
ცივი ნამქერი
გადაეყარა...
ბავშვობაში რომ
მეგონა, ღმერთო,
იმად მიქციე
ჩემი ქვეყანა!

ჩემს ლექსებს

ახლა, სამზეოზე რომ გაცილებთ,
ვიცი, სიტყვის ბანგით მთვრალმა:
სმენამ არაერთხელ მიღალატა,
მაგრამ არასოდეს – თვალმა.

ისევ ისე მიყვარს, ვინც მიყვარდა,
ისევ ის მძულს, ვინაც მძულდა,
სმენამ არაერთხელ მიღალატა,
მაგრამ არასოდეს – გულმა.

მხოლოდ ჩემია და მხოლოდ ჩემეული
(და თავს არც არავის ვადრი!),
სადღაც დაჭერილი, თქვენში მოქცეული
წამი, გაელვება, აზრი.

პოეტის ეპიტაფია

გაზაფხულიდან შემოდგომამდე,
შემოდგომიდან გაზაფხულამდე
ცხოვრობდა ბევრი
და მზის ერთ სხივსაც
არ ატარებდა გულის გულამდე,
მე კი სიყვარულს ლექსებად ვწნავდი
დასაწყისიდან დასასრულამდე,
დაბადებიდან სიკვდილამდე და
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.

დრო

როდის იძლევა მოსავალს
ეს ჩვენი დრო და ჟამი?!
არც არაფერი მომხდარა _
გავიდა ერთი წამი.

ადრეა, შენ ვერ მოგწვდება
დროის მსახვრალი ცელი...
სამოცი წამი გავიდა _
წუთი გავიდა მთელი.

გგონია, უკვე ახლოს ხარ
საესავ-სალოცავთან...
სამოცი წუთი გავიდა _
საათი ჩამოთავდა.

საათებს მიჰყვა დღეები,
თვეები, წლები, წლები...
სიცოცხლეც შემოგეხარჯა...
ო, რა უღმერთოდ კვდები...

ცოლის პასუხი

(“შემოგვეყარა ყივჩაღის” მიხედვით)

შემოგვეყარა ყივჩაღი,
ჩემზედ მოგიხდათ ცილობა...
ეს მერამდენედ დაგლუპა
ქართულმა ზნეკეთილობამ.
პური მოგთხოვა _ აჭმიე,
ღვინო მოგთხოვა _ შეასვი,
მანაც თავისად იგულა
შენი ყანა და ვენახი.

ხელ წამატანა ურცხვადა,
მეც მიმიჩნია თავისად.
ხმალი იშიშვლე _ დაგასწრო,
იქვე შენი მზეც ჩავიდა.
მაინც მოასწარ, უწვდინე,
სისხლი ჩანჩქერად დიოდა,
მიწა მოფხოჭნა ყივჩაღმა,
ცხრაგან ჭრილობა სტკიოდა.
ორივემ სული დალიეთ,
ცრემლი მილტობდა წამწამებს...
 მე არავისთან წავსულვარ,
 ცილი ტყუილად დამწამე.
სახე _ მზიანი, სამზეო _
შავი მანდილით ვიფარე,
ათასი წელი გიგლოვე,
მაინც ვერ გადაგიყვარე.
ათასი წელი გეძახდი,
ცაში ლეგენდად წასულო,
ახლა კი ეჭვი შემიჩნდა,
რადაც ცუდ სიზმრებს ვნახულობ:
შემოგვეყარა ყივჩაღი,
საცაა, გამინაპირებს...
შენ კი სიკვდილის გეშინის,
ხმლის მოქნევას არ აპირებ.



უკვე ნაყოფი მოწეულია,
უკვე ჩამოდგა სიცხე მკათათვის,
მე წლებზე ფიქრი შემომეჩვია
და მეშინია შენი დაკარგვის.

შენ კი ჯერ მიკრეფ ყვავილებს ცისფერს,
მპირდები, რომ თავს გადამავიწყებ.
... რა უცნაური თვალებით მიცქერ,
ცოტაც და, ალბათ ტირილს დავიწყებ.

* * *

მოთქრიალებდა სიტყვების თქეში,
ემატებოდა მიწას სიმძიმე,
გადავდიოდი ლექსიდან ლექსში
განახლებული, თანაც იგივე.

ჩემიც რომ იყო, მუდამ მახსოვდა,
ეს ველები და ეს მთა-გორები,
წინ მივდიოდი და უნებურად
წინაპრებს ჩემსას ვიმეორებდი.

ქიმიური ექსპრომტი სიტყვას

ზოგჯერ გულუხვად მჩუქნიდი
ბედნიერების წამებს და
ნეონის ნათურასავით
აჩახჩახებდი ღამესაც.
ხან ტვინს უწყალოდ ბურღავდი,
გწერდი, გშლიდი და მტკიოდი
(აორთქლებული ბრომი და
აქროლებული იოდი!).
სულის ჟანგბადი გასუნთქე,
გულის კოლბაში ჩაგყარე,
მოგაოქროვე, მოგვერცხლე,
ბრძმედშიაც გამოგატარე.
მაინც რომ მიწას მანარცხებ
და ბედს ხმამაღლა ვუჩივი,
ცისკენ თუ წამაფარფატებ
ჰელიუმთან ბურთივით?

* * *

რა მოელის ამ ჩემს წიგნებს,
მე რომ აღარ ვიქნები?
გადაყრიან? გადაშლიან
უკვე სულ სხვა თითები?
როგორ ხდება: ჩვენზე დიდხანს
როგორ ძლებენ ნივთები?

ხისადმი

ტოტო, ნაყოფის მომცემო,
ერთი შეხედვით _ მთავარო,
ფესვებს ნუ ედიდგულები,
მე თქვენზე მაღლა ვდგავარო.
დაღვლარქნილი და ძლიერი,
მიწის სიღრმეში წასული,
ფესვია შენი საყრდენი,
როგორც აწმყოსთვის _ წარსული.

აბეზარ ნაცნობებს

სიყვარულზე ლექსი ვწერო,
ათი, გინდაც ასი,
ჩემად არ თვლით, _
თითქოს გალობს
ანგელოსთა დასი,
თქვენ გჭირდებათ
ნივთმტკიცება _
ხორციელი კაცი.

მაგრამ მე არ გამომრჩება
(თქვენც ნუ გამოგრჩებათ!),
აყალბებენ პოეტები
ხშირად ნივთმტკიცებას:
გვერდით სხვა კაცს მიყვებიან,
სხვას უვლენენ ქებას,
სიყვარულს რომ მალვა უნდა,
კარგად გაეგებათ.

რაკი განუსაზღვრელობა
წარმოსახვას ძაბავს,
თქვენც ტყუილი გირჩევენიათ
ჩემს უგმირო ამბავს...
ფრთხილად, ცეცხლი არ მოგედოთ,
არ მიგეწვათ კაბა, _
სიყვარულის სადენებში
მაღალია ძაბვა.

ტბის ოცნება

მე ლურჯი ტბა ვარ,
ერთი კენჭი მომწონს ნაპირზე...
როგორ ვანიშნო,
წყალი ვარ და როგორ ავტირდე?

ასე პატარა, ვიცი,
სულაც არ ფიქრობს ჩემზე,
მაგრამ ერთხელაც,
თუ აღმოჩნდა ქარიშხლის ფრთებზე,

შიშს მოგვრის ალბათ
შავი ავდრის მუქი პალიტრა,
მეც ავზვირთდები, ხელს მოვხვევ და
გულში ჩავიკრავ.

მაისია

იქნებ სულაც მოვარდვიო
სიხარულის სამანი,
აისია, მაისია,
ყვავის იასამანი!
მიწას უკვე დაუხურავს
მოჩითული საბანი.

ვის რას არგებს, გამოვფინო
ჩემი გულის დარდები,
იქნებ სჯობდეს, დაგიკრიფო
ეს წითელი ვარდები,
მოგართვა და შეგევედრო:
ნულარ დამეკარგები!

* * *

სულ რომ მსხვერპლი ვარ _
ვიღაცის ან რაღაცის მსხვერპლი,
რომ არვინ მშველის _
ყველას იქით რომ უნდა შველა,
ასე ხშირად რომ
ვარ სამიზნე შხამიან ნესტრის,
რისი ბრალთა _
სახელად რომ დამარქვეს ლელა?!

* * *

ორივე იყო: დარდით სიკვდილიც
და სიხარულით გაცისკროვნებაც...
საცალფეხო და დაკიდულ ბილიკს
მივუყვებოდი მთელი ცხოვრება.

დაიქუხებდა და ხმა მჭექარე
თითქოს ეძებდა იერიქონებს,
აგორდებოდა ზვავი _ მკვნესარე
ვეჭიდებოდი ლექსის სტრიქონებს.

ორივე ვნახე: მზის მწველი სხივიც
და ნამქერების აბობოქრებაც...
მარტოობისკენ მიმავალ ბილიკს
მივუყვებოდი მთელი ცხოვრება.

* * *

მინდორს ფარავს თეთრი ფარა,
იქვე სალამური კვნესის,
ნეტავ საით გამეპარა
წუხელ დაწყებული ლექსი?

სიზმარ-ცხადის თოთო პირმშო,
ჯერაც სუსტი ნედლი ფესვით –
მაინც რა ლამაზი იყო
სულში დაშიფრული ლექსი!

იქნებ უკან მოჰყვეს წვიმებს,
იქნებ ჩიტის სტვენად მესმის...
ღვთისმშობელო, მაპოვნინე
წუხელ დაკარგული ლექსი!

* * *

სადღაც ხომა ხართ, ჩემო მსგავსებო
და, თუ არა ხართ, იქნებით მაინც...
თქვენ ხომ მიხვდებით, რისთვის ვარსებობ,
სულში რა ფერის სინათლე ყვავის?!

და სულერთია: არ გვყოფს მანძილი,
თუ უკვე ავცდით სივრცეში, დროში, _
მოგძებნით ლექსი _ ჩემი გზავნილი
ამ სამყაროდან იმ სამყაროში,

ანდა პირიქით: უფლის გზავნილი
იმ სამყაროდან ამ სამყაროში.

ღღობა

ეს მერამდენედ ნიშანს გაძლევს თითქოს განგება:
ყინულის გარსი _ გულზე _ დნება, გემსხვრევა ხელში,
ნაცარწყარილი მოგონება აფრთხილდება _
ნაპერწყალივით გაკვესავს ბნელში.

ატკაცუნდება, კანს აგიწვავს, ატკარცალდება,
გორგალს არ მოგცემს, ლაბირინთში გატარებს ისე,
გულის ფსკერამდე ჩაყვინთვასაც არ დაგზარდება,
ფიქრების ლაშქარს დაამწკრივებს და შემოგისევს.

მერე ატყდება შუბთა ცემა და უცაბედად
გაიბზარება ძველთაძველი შენი ბექთარი
და უკუნეთში, მზის ამოსვლის წინამორბედად,
დაეკიდება გულთან ახლოს მთვარე ფერმკრთალი.

* * *

გიშრის მძივი, ქარვის მძივი,
დანა შავტარიანი _
რა არ ვცადე, მაგრამ ყველგან
მისვლა დავაგვიანე.

იასამნის ხუთფურცელა
ყვავილი არ გამომრჩა,
წამლეკავი სიყვარული
მაინც არსად გამოჩნდა.

ოქროს კოშკი, ვერცხლის კოშკი,
ბროლის კოშკი ვაშენე
და ბალიშთან არაერთი
თეთრი ღამე ვათენე.

მეტერლინკიც ვიკითხე და
ათასი სისულელეც,
ბედისწერას? _ უკაცრავად _
ვერაფერი ვუშველე.

ბარდნის

ბარდნის.

რაღაც სხვანაირი

მეჩვენება ქუჩა.

ბარდნის.

მინდა, ტყეში ვიყო,

მაგრამ არა უშავს:

შევჩერდები

დათოვლილი

ფიჭვის შორიახლო,

ერთი წამით

დავივიწყებ,

რომ აქ ხალხიც სახლობს,

ერთი წამით

წარმოვიდგენ,

რომ გული არ მტკივა...

ბარდნის.

ციდან ვერცხლისფერი

ვარსკვლავები ცვივა.



* * *

რა უნდა მითხრა? _ ისედაც ვიცი,
რომ მონატრებამ გადაგიყოლა,
რომ მეცხრე ცამდე ასული ფიცი
იყო და... მაინც არა იყო რა.

რა შეგეშალა გუმინწინ, გუმინ,
რომ ციციქნა გოგომ არ შეგიცოდა?!
ის ხომ მზის სხივებს მალავდა სულში
და საკუთარი ფასი იცოდა.

* * *

ცხადი რატომღაც ჯოჯოხეთს ჰგავდა
და, ცხოვრებიდან გამოპარული,
მე შევეხიზნე ბროლის კოშკს, მაგრამ
ხომ მჭირდებოდა ხანდახან პური?!

ამიტომ ზოგჯერ ვაღებდი კარებს,
ვეძებდი პურის მომტანს თუ მომყვანს,
კოშკში ვუშვებდი მზესა და მთვარეს,
ცრემლსა და ღიმილს, მადლსა და ცოდვას.

ჰოდა, შეიმღვრა ზღუდენი ბროლის,
გაუმჭვირვალედ იქცა აგურად,
მოირღვა კარი და კედლებს შორის
ისევ ცხოვრებამ დაისადგურა.

რუსები

ამ ჩვენს სისხლიან კალოზე
რა ცოდვის კევრი ტრიალებს?
თონეში ჩაკიდებული
ფიჩხივით აგვაბრიალეს.

აგვიგიზგიზეს აგვისტო,
არ ვენაღვლებით სრულებით
და ვკვდებით ათასმეერთედ,
ათასჯერ დაისრულები.

აგვისტო, 2008

ზღვის აღსარება

ეს მარგალიტი, რომ ავლელდი, მაშინ გამექცა,
ნაპირზე დარჩა, მოინდომა ხალხში გარევა.
დავცხრი, ვერ მივწვდი და მისი ხმა ყურში ჩამესმა:
“ო, ღმერთო, ცაზე რა ლამაზი სავსე მთვარეა!

არც კი ვიცოდი, ვარსკვლავები როგორ ბრწყინავენ,
ზღვის ფსკერზე იყო ჩემი სახლი, ჩემი ქვეყანა”...
“არ დაბრუნდება!” – ვთქვი, ზღვად ყოფნა წამით ვინანე
და, ნალალატევს, ფეხქვეშ მიწაც გამომეცალა.

შენ ნაცვლად

1

სიბერეს ვებრძვი,
შენთან ყოფნა
რომ დიდხანს შევძლო.

2. ქარვის ამინდი

ო, ამ ოთახში, სად იები მორცხვობდნენ წინათ
და ვარდებს ჰქონდათ პრეტენზია გადედოფლების,
ახლა ბინდბუნდში ბედნიერ დროს, უბრალოდ, სძინავს,
კედელს კი შვენის იკებანა ხმელი ფოთლების.

ფერად ყვავილთა მოციქულმა _ ნიაგმა მარდმა
ჩაგვიშრიალა, მოგვაკითხა ქარვის ამინდმა...
კი, ლამაზია იკებანა ძალიან, მაგრამ
იების ნაცვლად იკებანა სულაც არ მინდა.

3. შეხვედრა

მომიკითხა. შესამჩნევად ღელავდა.
“სულ ტყუილად ჩამიარა, მგონი,
ნატურის ხეზე ნაკუწებმა ფერადმა,
თილისმებმა აქატის და ბროლის,
შენს სიმშვიდეს რომ ვუთქვამდი სურვილად...” _
თქვა და ხმაში გაერია ბზარი,
გამყიდველი ცრემლი რომ დაემალა,
უხერხულად მომარიდა თვალი.

4

სინათლე, ზეცამდე ასული,
ნეტავ ვის დარბაზებს შვენიხარ?!
უკვე წასული და წარსული,
კვლავ სულით ხორცამდე ჩემი ხარ.

დამდეგს იისფერი სიზმარი _
იებს კრეფ, კონებად არიგებ...
მითხარი, ცხადშიაც მითხარი:
_ მოვედი, კარები გამიღე!

5

რა შემძლება...
არც ვიცოდი, რა შემძლება:
ცოცხალი ვარ და
შენზე აღარ _ სიკვდილზე ვფიქრობ,
ხოლო ეს სიტყვა
“სიყვარულის” ანტონიმი
მგონია უკვე, სულ რომ მეგონა,
ანტონიმი იყო “სიცოცხლის”.

6. აბნეული აღსარება

“არ გეკითხები: რა გავაკეთო, როდის,
არ მენატრები საღამოთი და დილით”, _
ამბობს გონება. გული უაზრო ლოდინს
ამჯობინებს და ცრემლშეუშრობლად ტირის.
მაპატიე-თქო, ამასაც კი არ გეტყვი,
მოგესალმები ხანდახან უხმო ზარით...
ჰო, ძველებურად ქარის წისქვილებს ვებრძვი
და დედამიწაც აღარ მგონია მყარი.

ასოციაცია

ამ სურათზე, ამ ფანჯრიდან
თოვას უცქერს ქალი,
ზურგითა დგას, მაგრამ ფიფქებს
მისი სევდის კვალი
ისე ცხადად ამჩნევია,
რომ მეც ყინვა მაზრობს.
უცქერს ქალი მბრწყინავ შორეთს,
დარდობს, დარდობს, დარდობს...
გარეთაც თოვს და პირველ თოვლს
მეც ფანჯრიდან ვუმზერ,
მოფარფატე ფანტელები
ეცემიან ფურცელს.
ფანჯრიდან და სურათიდან _
თითქოს ორი ციდან _
მათოვს მე და ათოვს ფურცელს
და ფურცელი ზიდავს
ორი ქალის წილხვედრ წუხილს,
ცრემლს და უხმო ნატვრას...
მე _ ნამდვილი, ის _ ნახატი,
როგორ ვგავართ ახლა!

* * *

“ჰოი, ბევრი რამ ეპატიება
პოეტებსა და შეყვარებულებს!”
ნოდარ ადგიშვილი

პოეტური _ ღამე არის,
ვარსკვლავებით _ მძივებად,
ღამეს დღე რომ მირჩევნია,
განა მეპატიება?!

პოეტური _ მთვარე არის,
ჩამომდნარი სხივებად,
მთვარეს მზე რომ მირჩევნია,
ესეც მეპატიება?!

ზამთარს კიდეც _ გაზაფხული,
დაფენილი იებად,
მე იების სიყვარული _
საზიარო სიყვარული _
ნუთუ მეპატიება....

ქართველებს

შავი იმდენ ხანს გვეგონა თეთრი,
თეთრი იმდენჯერ გვეგონა შავი,
რომ საბოლოოდ შემოგვწყრა ღმერთი...
რა არის კარგი, რა არის ავი
უკვე ვერ ვხვდებით და სულ გვგონია,
ვიღაც მოვა და გვიშველის ხვალე,
მოგონებადღა გამოგვყოლია,
როგორ უყვარდათ სამშობლო მხარე
წინაპრებს ჩვენსას და გვენატრება
ისევ დიდგორი, ისევ მარტყოფი.

იქმენ ღვთის ნება,
იქმენ ღვთის ნება,
მოგვაწევინე მწიფე ნაყოფი!

* * *

ზღვას შევრჩი, შტორმის ჩაცხრომას ველი,
მკვდარი ჩიტები ცვივა აფრიდან...
თუ მარტობას ვერ გაუძელი,
თუ ჩემთან მოსვლა ისევ დაგჭირდა, ...
გიპასუხებ, რომ არ მახსოვს წყენა,
ერთ დროს მტანჯველი და უსასრულო,
მაგრამ ვერც გრძნობებს მოგიძღვნი სცენად,
დროდადრო როლი რომ შეასრულო.

* * *

ბევრი ქარბუქი დამწევია,
მმუსვრელი ყოვლის,
მაინც არასდროს ჩამბნევია
სტრიქონში თოვლი.

მე შეიძლება
გამაქვავოს ასპიტის მზერამ _
სამშობლო უნდა გადამირჩეს:
ვიცი და მჯერა.

ვინც მიყვარს, უნდა გაუმკლავდეს
ცხოვრებას ვერაგს,
მე კი ლექსებში დაგიტოვებთ
ყვავილებს ფერადს _

მე ხომ ზამთარშიც გაზაფხულზე
მიყვარდა წერა.

ქუჩა პერიფერიისკენ, დეკემბერი

ქუჩა პერიფერიისკენ,
ცოტა ხნის წინ _ მშვიდი...
ხალხი მოდის, მოდის, მოდის,
ზოგი _ კიდევ მიდის.

მოდის ხალხი ხელში პურით,
ხორციტა თუ ხილით,
მოდის ქუდი, ქურქი, პალტო,
ჯინსი გახეხილი.

მოხუცი თუ ახალგაზრდა,
პატარა თუ დიდი,
დამდება და შინ ბრუნდება,
უფრო ცოტა _ მიდის.

იმ ბევრს აქეთ ეგულება
სახლი, როგორც ფარი,
მოსვლას ერთი მიზეზი აქვს,
წასვლას _ მრავალგვარი.

ავი წინათგრძნობა

არც ყაყაჩოთი მორთული ველი,
არც მოქათქათე ნუშის რტოები,
ამ ნიადაგზე ტკივილის ლელი,
ცრემლიან ცოდნით ნასაზრდოები,
იხარებს მხოლოდ. ძალიან ვწუხვარ,
მაგრამ, რომც გვსურდეს, ვერაფერს შევცვლით...
ჩვენს ცაზე ისევ _ ნისლები უხვად,
კერაზე ისევ _ ჩამქრალი ცეცხლი.

(სადავო) განსაზღვრებები

ელდა, გინდა _ სიხარულის, გინდ, უბრალოდ, ელდა,
ერთბაშად რომ სურს, შენს გულში ღრმად გაიდგას ფესვი,
უეცარი, თავს დამტყდარი რაც კი გერგო ბედად,
მზეები და წყვდიადები _ რითმიანი ლექსი.

დაბლაგვებულ გრძნობის განსჯა, ფიქრი, თავის ტეხა,
ტანჯვა _ მცირე ულუფებით, სევდა _ როგორც წესი,
წვრილი წვიმა, შემოდგომის ნელი ფოთოლცვენა,
ქრონიკული, განგრძობადი სტრესი _ თეთრი ლექსი.

ხანდახან

ხანდახან ვხსნიდი ცხრაკლიტულს,
მოგდევდი მეცხრე კარამდე,
ხანდახან ისე მიყვარდი,
მეგონა, დაგიფარავდი
ჭირისგან, ავი თვალისგან,
ისრისგან, ბრმად რომ ნავარდობს,
ხანდახან გადეყრებოდა
ზეცას ღრუბელი საავდრო,
პეპელაც უბრუნდებოდა
მოყვავილებულ მდელოს და
ხანდახან ისე გიყვარდი,
ჩემივე თავის მჯეროდა...

უცხო გალობა მესმოდა
ჩიტების სამფლობელოდან.

ეკატერინეს ლექსები

1

შენ ჯერ არ იცი
შენი და სხვისი,
ხელს ჩამჭიდებ და,
ირგვლივ რაც კი მოგეწონება,
“უჰუუ” – მინდაო, მომეციო –
ასე მანიშნებ.
შენ ჯერ გგონია,
ყოვლისშემძლე ვარ,
მაგრამ ერთხელაც შენს სურვილებს
ველარ გავწვდები...
რომ გაიზრდები
ნეტავი რა მოგეწონება:
რაც შემიძლია, მოგცე, თუ ის,
ვერასოდეს რომ ვერ შევიძენ.
მე მოგცემ წიგნებს,
ერთად დავწერთ
ლექსებს და ზღაპრებს...
მაგრამ, ძვირფასო,
თავის გატანას ვერ გასწავლი –
თვითონ არ ვიცი;
დაუნდობლობას ვერ გასწავლი –
მე პოეტი ვარ...
და გული მტკივა,
წინასწარ ვნანობ:
რამე მცოდნოდა,
ცხოვრებაში გამოსადეგი.

შენს ლამაზ თვალებს
ცრემლი სულაც არ მოუხდება,
ლექსის და ზღაპრის გოგო კიდევ
უცრემლოდ – როგორ?!

2

დილა, წითელი მზით ხელში,
ზეცას რომ მოაირისებს,
პატარა ეკატერინე
ისე ლამაზად კისკისებს,
ისე ლამაზად ტიკტიკებს
ამ თავის ბალღურ ენაზე, _
არ მეეჭვება, არ ვდარდობ
სამყაროს გადარჩენაზე,
ამქვეყნიური სიბნელის,
იმქვეყნიური სიცივის
არ მეშინია, ეკატო
ისე ლამაზად იცინის.

3

შენ რომ გაჩნდი თუ გამოჩნდი,
ვით უდაბნოში _ ყვავილი,
მზე ამოსული მეჩვენა,
შავი ღრუბელი _ ჩავლილი.
უკულმა გადმომიბრუნე
ნაფიქრალ-ნასევდარები,
ეკატერინეს არა და,
ნინოს მიგიგავს თვალები.

4

რად დაგიშალო ანცობა,
რად დავარისხო ზარები? _
ხელს ჩაგკიდებ და ბავშვობას
ხელახლა დავემგზავრები.

5

“ჯვალი წელია!” _
ყველა ჯვარი ასე მონათლა
რაჭიდან ახლად ჩამოსულმა
ეკატერინემ
და, ერთი ფრაზით,
სიტყვა-სიტყვით მიაშბო თითქოს,

როგორ შეხედა
რომელიღაც სათნო მოხუცმა,
როგორ თქვა მასზე:
“რა ლამაზია ე ბოშუნა,
ჯვარი სწერია!”

6

გადაშლილ ტიტას დახედა,
გადაეფინა ნათელი,
მტვრიანებს თვალი ჰკიდა და:
_ შეხე, სათელი, სათელი! _
ორი წლის ეკატერინემ
გაბრწყინებულმა მახარა.
მეტაფორას რომ მიაგნო,
ჯერ არ იცოდა პატარამ.

7. ვითომ-ვითომ ქვეყანაში

მიტხარო, “დედა, მშია!” _
ეკატუნა მაბამს,
ვითომ-ვითომ ქვაბში ხარშავს
ვითომ-ვითომ ფაფას,

ვითომ-ვითომ თეფშზე მისხამს
ვითომ-ვითომ კოვზით,
თან თვალებში შემომყურებს
ალერსით და ნდობით.

ვითომ-ვითომ მაგიდასთან
ვითომ-ვითომ სკამზე
ვზივარ, ვფიქრობ, მართლა ვფიქრობ
ჩემზე, შენზე, სხვაზე,

ვისაც ერთად დაეკარგა
ბედიცა და ხვითოც,
ვითომ-ვითომ ქვეყანაში
ცხოვრობს ვითომ-ვითომ...

8

რა ცოტა ყოფნის ეკატოს:
ბურთი, თოჯინა, ზღაპარი...
და რა დიდია ოთახი,

მისი ღიმილით გამთბარი.

რა ცოტა იცის ეკატომ,
რა ცუდად იცნობს ქვეყანას...

რა ეშველება, თუ გზაზე
ბევრ ეკალს გადაეყარა?

რა პატარაა ეკატო,
წინ რა გრძელი აქვს სავალი...
ღმერთო, შენ გაარჩევინე
უმნიშვნელო და მთავარი,

ღმერთო, შენ გადაურჩინე
ეს მშვენიერი მთა-ბარი!

9

შენს შავ თვალეში ვარსკვლავები ბრწყინავენ, ეკა,
როცა იცინი, ბაგეთაგან გცვივა ვარდები
და ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკვა
შენი სიცოცხლის უღრუბლო ცის არის თავდები.

შენ იავნანა ქერუბიმთა გიმღერა დასმა,
მე ყოფის შხამიც და შარბათიც ბოლომდე შევსვი...
აგიყვან ხელში, სპირალის იმ ხვიაზე დაგსვამ,
სადამდეც მისწვდა შენი გენი და შენი ფესვი.

გაგიადვილებს ეს სიმაღლე გასავლელ გზას და
ეს სიყვარული აგენტება შუქურად ბნელში!



ბავშვობა

რის წერტილი და კითხვის ნიშანი, _
ცხოვრება იყო
მრავალწერტილი,
ფერად სათვალთ დანახული და
ფერად პრიზმაში გარდატეხილი.

სამშობლოს

აღარა ჩანხარ. რომ კვლავ ვიხილო
ამწვანებული შენი კორდები,
მე გამოვანგრევ
სიცოცხლის ნაჭუჭს
და სადმე მიღმა დაგელოდები.

სიყვარულს

მზე ეფერება მწიფე თავთუხებს...
მე შენზე ვფიქრობ:
_ საით მიდიხარ?
რომ აღარა ხარ, ეს არ მაწუხებს,
იმას ვდარდობ, რომ აღარ მიინდიხარ.

* * *

აჰა, დასრულდა ათას ერთი ღამის ზღაპარიც...
გონება ამბობს: “ველარავის შეეთვისები”.
გული არ ცხრება:
მირაჟებად მეცხადებიან
ამ უდაბნოში სიყვარულის ოაზისები.

* * *

მკლავს სიყვარულის სისავსის შემდეგ
სიცარიელის
უცნობი განცდა...
ჩემი და შენი ცხოვრების ხაზი,
როგორც ჩანს, დროში ერთმანეთს ასცდა.

* * *

ცხოვრება ჰგავდა ამღვრეულ მორევს,
ბედს მისდევდი და
ვერ ეწეოდი...
შენ მოინდომე სასახლე, თორემ
მე ცულის ტარზეც დავეტეოდი.

* * *

შუალამეა. ვერ ვიძინებ,_
მიზეზს ვერ ვხვდები.
შედეგი?
დილას
სამიოდე ლექსით შევხვდები.

* * *

ძველ ამბებს ჰყვება მოხუცი მწყემსი,
ჩვენც ვიყავითო
ახალ-უხლები
და ბატკნებივით მისეირნობენ
ქედების გასწვრივ თეთრი ღრუბლები.

უგაზაფხულოდ...

გულგათომილი და ნამქერის ცივი კოცნებით
განაწამები, ზამთრის კლანჭებს დავუსხლტი გვიან
და ვერ ვიხილე შენს მინდვრებზე ჩემი ოცნება,
ჩემი სამება:
ყოჩივარდა, ენძელა, ია.

ვაჟა-ფშაველას

რატომ არ მახსოვს ის დღე სადაგი:
სად, როდის ვნახე სულს დაჩენილი _
შენი ლექსების
ჭრელი ფარდაგი,
მწვანე ტოტებზე გადაფენილი?!

შეკითხვა გალაკტიონს

იწვის სახლები, იწვის ხეები...
როგორ დაუშვა არსთა გამრიგემ,
რომ კარალეთის
სამოთხეები
შენი ხათრითაც კი არ დაინდეს?!

აგვისტო, 2008

პოეტს

სულაც არ ეძებ მშვიდობის მტრედებს,
ხელმწიფის კარზე _
პირველ სახელოს,
შენ უიმედო სიყვარულს ეძებ,
მერე ლექსებად რომ გადაწერო.

ექვიანობა

სულ ერთი წვეთი სხვას უწილადე
გრძნობა, გონებამ რომ ვერ ალაგმა...
გულს,
სიყვარულით რომ ავსილიყო,
სწორედ ის ერთი წვეთი დააკლდა.

№-ს

ცხადზე ცხადია: არეულ და აშლილ ქვეყანას
სულაც არ ხიბლავს შენი ლექსის ანკარა წყარო...
ჩაიხედავენ,
საკუთარი თავი არ მოსწონთ,
გედავებიან, ამღვრეული რატომ არ ხარო....

წედისი თუ წერაქვია,
ერთნაირად ვტკბები...
ჩემი ფსიქოთერაპია _
საქართველოს გზები.

სოლი – სოლითვე...

სულს,
გახევებულს ტკივილისაგან,
ღმერთი ახალი ტკივილითვე
მინედლებს ხოლმე,
რომ ისევ ვწერო.

* * *

უშენობის დადებითი მხარე:
შემიძლია, შენ ნაცვლად,
შენზე ჩემი წარმოდგენა მიყვარდეს.

* * *

_ მიშ-ვე-ლე!
მიშ-ვე-ლე! _
ასე მესმის საკუთარი გულისცემა.

ადამიანებს

ჩემს პროექციებს ცხოვრებაში,
თქვენ რომ უყურებთ,
ერთი “მე” ტოვებს,
“მე”, რომელსაც
მხოლოდ მე ვიცნობ.

შენი პირველი ტყუილი

თითქოს ლოგინიდან ამაყენეს,
ყინვაში გამიყვანეს და
ცივი წყალი გადამასხეს _
ველარა ვლღვები.

“თანამედროვე” პოეზიის კითხვისას

წავალ დინების წინააღმდეგ:
ბნელ ღამეს _ არა,
მზეს თუ ვერ მივწვდი,
მთვარეს მაინც
მივაბნევ ქალღმერთს.

ეტყობა, სული
სიკვდილამდე ჩაუნამქერდათ,
ისე უყვარდათ
თოვლზე წერა
თვითმკვლელ პოეტებს.

სასოწარკვეთა

გზაც და მიზანიც
უკვე ისე დაგვიცალკევდა,
აცდენილ წრფეებს
დაემსგავსა
ჩვენი ფიქრები.

თუ სანთლად იწვი,
ცარიელ და უფანჯრო ოთახს,
იცოდე, სულაც
არ სჭირდება
შენი ნათელი...



ორი-არაფერი-ისევ ორი
 ბედმა იმდენჯერ და იმდენ ადგილას
 შეგვახვედრა,
 ორნი-არაფერი-ისევ ორნი
 ჩვენი ცხოვრების ისტორიად იქცა.

ცისარტყელას

ახლა შვიდ ფერად
 რომ დაშლილხარ,
 ულამაზესო,
 გადაიწვიმებს,
 კვლავ ერთი და
 თეთრი გახდები.

* * *

ცრემლი გამიშრა
 და არ მიკვირს, რადგანაც ადრე _
 სიცოცხლეშივე _
 არაერთხელ გამოგიტირე.

ვარაუდი

სული, წყალივით,
გაყინვისას ფართოვდება და
იმ ჭურჭელს ამსხვრევს,
სხეული რომ ჰქვია სახელად.

* * *

მახსენდება,
ყველაფერი ჩემთვის რომ გინდოდა
და გულუხვად მჩუქნიდი...
ხეებს
უნივერსიტეტის ბაღიდან.

* * *

ბავშვობას ვერ ვთმობ:
დღემდე მათებს
უსამართლობა, დალატი, შური.

სიყვარული _ ადამიანს

მე ის სხივი ვარ,
ხილულ სპექტრს მიღმა,
თან რომ დაგყვება,
გაბრწყინებს და გამშვენებებს.

აღარც კი იცი,
ვისზე უნდა იეჭვიანო:
წავედი, მაგრამ სხვასთან არა,
შენგან წავედი.


მკითხველებს

როცა ვწერ,
თქვენზე სულს არ ვფიქრობ,
მაგრამ უთქვენოდ
რასაც ვწერ,
მხოლოდ გაუმხელელ
ფიქრად დარჩება.

გაჭალარავდი...
გულჩვილობა შემოგეპარა:
წლების წინ
ორჯერ უფრო დიდხანს
მეზუტებოდი.

სხვებს თუ არ ჰგავხარ,
საკმარისი მიზეზი არის,
იმ სხვებისაგან
დაუშრეტელ
სიძულვილს გრძნობდე.

მარტივად წერო,
კრიტიკოსმა მისაყვედურა...
მარტივი იყო ჩემი ტანჯვაც,
მაგრამ _ ნამდვილი.



სიყვარული

დასაწყისი _
უშენობის შეუძლებლობა;
დასასრული _
შენთან ყოფნის შეუძლებლობა.

* * *

წვიმს და თვითონაც
სინანულის
წვიმად ვიქეცი.
სულ ასე წვიმდა
იქ, წარსულში,
თუ იყო დარიც?

მოგონება

მეგონა, ჩემკენ არ იყურებოდი
და “გულახდილად” გიცქერდი.
შენც გულახდილად მითხარი:
“დღეს რა კარგი ხარ!”.

განშორება

სანამ ცრემლებით გშორდებიან,
უნდა გჯეროდეს:
ისევ არსებობს
დაბრუნების შესაძლებლობა....

* * *

შენ შეიძლება
შეგიძლია სიყვარული
მთელი არსებით...
ჩემი თუ სხვისი?! _
საკითხავი
ეს არის მხოლოდ.

* * *

ცოდვა არა ვარ?! _
მხოლოდ ლექსებში ვლაპარაკობ
ჩემს ენაზე და
ადამიანებს, ვისაც რა ესმის,
მთელი სიცოცხლე
იმ ენაზე ვესაუბრები.



სულის კიბეზე _ ზეცისაკენ _
მხოლოდ ის გამჩნევს,
ვინც გეწევა ან
უკვე გაგისწრო.

ისე უჩუმრად
მოგაცილე გზიდან ქვა-ლორღი,
სულ გეჩვენება,
წვეთი ოფლიც არ დამიღვრია.

ქართლის გზა

დახრუკულ ველზე
ბედნიერების შხეფები _
კ ა წ ა წ ი ნ ა
ვარდისფერი ყვავილები.

“მაღალი წნევა”

ჩემი სხეული,
სულ არაფრით გამორჩეული,
რამდენ ასეულ ატმოსფეროს
უძლებს შიგნიდან?!

ურთიერთგავლენა

შენ იღრუბლები _
ველარ ამჩნევ ცას
ვარსკვლავიანს,
ცა იღრუბლება _
ვარსკვლავები
ქრება თვალებში.

* * *

სიტყვებს ვერ ვპეზნი,
რომ აღვწერო,
რა დამემართა,
სიყვარული რომ
გამიმხილეს
შენმა თვალებმა.

პირველი კოცნა

სახლში მოვარდა.
სახე წითლად უვარვარებდა.
სიცხე მისცა,
ლოგინში ჩაწვა
და თავს დატეხილ სასწაულზე
უამბო ბალიშს.

ფსიქოლოგიური ტესტი

მეუბნებიან:
“წარმოიდგინე, გზაზე მიდიხარ...”
წარმოვიდგინე სერპანტინი
ორბელის ზემოთ
და საკუთარ თავს გავუჯავრდი:
“რა იქნებოდა, ფიქრში მაინც
ვაკეზე გევლო?!”

რჩევა

წყალდიდობაა.
ამ კუნძულსაც ვერარა იხსნის
და მტანჯველ ლოდინს
იქნებ სჯობდეს,
ქარს და წყალს გაჰყვე:
ან დაიმსხვრევი,
ან მოხვდები სადმე ნაპირზე.

* * *

როგორ არ ვიცი,
რომ ჩინურის სწავლის დრო დადგა,
მაინც ჯიუტად ლექსებსა ვწერ,
თანაც _ ქართულად
და იმედი მაქვს, რომ მოწყალე
იქნება ღმერთი!

* * *

ჩემთან თუ მოხვალ,
მჭახე ფერებს გამოეთხოვე.
არ გაგიკვირდეს: ვერ იპოვი
აქ მუქ ფერებსაც _
ცისფერი სევდის საუფლოში
მოხვდები მყისვე.

* * *

თქვენ მეკითხებით,
ამ ლექსებში რაა ახალი?
ახალი მე ვარ
(ამავე დროს, ვარ თქვენი მსგავსიც!) _
სრულად არავის ვიმეორებ და
არასოდეს განვმეორდები.

ლოცვა

ღმერთო,
მომეცი ბედნიერება,
მოულოდნელი და უნაპირო...
იქნებ გამოდგეს იმ ყველაფრის
საპირისწონედ,
წლებმა უხვად რომ
დამაფრქვია
მოულოდნელი
უბედურებების სახით.

მსხვერპლთშეწირვა

თითქოსდა მიწა
იქვე ახლოს ეგულეობდეს,
მეცხრე სართულოზე
ნიორის კბილი ან ხახვის თავი
გაზაფხულისპირს
მწვანე ფოჩებს რომ გამოიტანს _
მსხვერპლთშეწირვაა,
აბა, რა არის?!

* * *

“ვისაც ვუყვარვარ, დამირეკოს!” –
ვინატრე ერთხელ
და საპასუხოდ
შენი ზარი გაისმა მყისვე.
გული მეტკინა,
მაგრამ შენი რა ბრალი იყო?!
ვინც მიყვარს, დამირეკოს-მეთქი,
უნდა მენატრა.

* * *

კიდევ კარგი, რომ ჩემი გული,
დედამიწასავით,
მზის გარშემო არ ტრიალებს,
თორემ შენ (მზე)
იძულებული გახდებოდი,
გულის ის მხარეც დაგენახა,
თვალს რომ არიდებ...



“მაინც გილოცავ...”

მაინც მილოცავ...
შობას, ახალ წელს, დაბადების დღეს
მაინც მილოცავ
და ამ კონტექსტში “მაინც” ნიშნავს:
შენთვის _ საკუთარ დიდსულოვნებას,
ჩემთვის _ სიყვარულს,
არასოდეს რომ არ გაქრება.

_ რაკილა მარტო დაიბადა
და მარტო კვდება,
ადამიანი მარტოაო
მთელი ცხოვრება, _
სულ რომ მიმტკიცებ,
მსმენელად ხომ მაინც გჭირდები:
როგორ ხარ მარტო?!
როგორ ხარ მარტო,
თუკი იცი,
“მარტო” რას ნიშნავს?

* * *

რა ადვილია! _
სოფელს მეც კი ავაშენებდი,
განსაკუთრებით ოცნებაში და ქალაქიდან,
მაგრამ ყოფაში
ვიღაცამ უნდა გალობოს ღობე,
მიწა მოხნას და
დიდთოვლობისას
გადმოთოვლოს სახურავები.
ო, გთხოვ, გამოჩნდი,
ვისაც ამის ძალ-ღონე შეგწევს!..

* * *

სანამ შეცდომას მივხვდებოდი,
ცაში აფრენაც,
დედამიწაზე დახეთქებაც
მოასწრო გულმა,
სულ სხვა ქალაქში,
გაჩერებაზე,
ჩემკენ ზურგით მდგომი უცნობი
შენ რომ მეგონე.



* * *

ნუ მსაყვედურობ:
შეხვედრას განშორება მოსდევს ხოლმე,
როგორც აღმართს _ დაღმართი.
თანაც, სანამ შევხვდებოდით,
საიდან უნდა მცოდნოდა,
რამდენი რამ გვაშორებდა?!

ისევ პოეტს

დაბადებისას შენ იყავი
ალბათ აღმასი.
მერე გრძნობების აბრაზივზე
გაიშლიფე და
ჰა, ციმციმებენ
წახნაგები ბრილიანტისა _
ყოველ წახნაგზე
თითო ლექსი დაბუდებულა.

* * *

კიდევ რომ მსურდეს,
შენ არა ხარ ჩემგან წამსვლელი.
გიყვარვარ მშობლის ერთგულებით
და მეც შვილს ვგავარ,
ასაკში შესულს,
მშობელი რომ
ველარაფრით დაეხმარება,
გარდა უშრეტი
უპირობო სიყვარულისა.

ცისარტყელას

ხშირად მახსენდება
შენი შვიდი ფერი,
ბუნებაში თანაბარუფლებიანად
გაჩენილი,
თანაბრად მშვენიერი...
მერე ადამიანები ვირჩევთ
უპირატესად პირველს, მეორეს,
... მეშვიდეს –
გააჩნია, რა დაგვჭირდება.
ზოგჯერ ისიც კი გვავიწყდება,
რომ ჩვენი
განსხვავებული არჩევანი
ისევ შენი ფერების
სხვადასხვა ტალღის სიგრძითაა
განპირობებული.

თ.ჩ.-ს

იმ ათვლის სისტემაში
სათავე ჩემი გული იყო,
თქვენ კი გულთან
ისე ახლოს იყავით...
სულ არ მადარდებდა,
რომ არც კი მიცნობდით.
მეოთხედი საუკუნის შემდეგ
გისმენთ და მიხარია,
თქვენი კოორდინატების
შეცვლა რომ არ დამჭირდა.

ჟასმინის ტოტი
იაპონურ ლარნაკში ჩავდე
და, ორი დღეა,
ცოცხალივით მესაუბრება:
_ ჩემზე დაწერე...
გახსოვს, თეთრად რომ ვასხივებდი
სკოლის ეზოში,
გახსოვს, როგორი არომატით
გივსებდი მაისს...

და უცებ მივხვდი, მთელი სიცოცხლე
რატომ ვეძებდი სუნამოებს ჟასმინის სუნით.

ეკატერინე ჭავჭავაძეს

სულ არ მიყვარდი ბავშვობაში,
ეკატერინე,
ვერ გაპატიე,
რომ ცრემლიანი შედევრების
იყავ მიზეზი.
მერე, წლებმა რომ
კომპრომისზე წასვლა მასწავლა,
ერთბაშად მივხვდი:
ტატო-პოეტი მაინც
შენმა სიყვარულმა დაიმახსოვრა,
შენ მოიტანე სამზეომდე
მისი ლექსები.

შთაბეჭდილება

შენება უსწავლია –
ლექსის სასახლე აუგია,
გაუწყვია და აუვსია.
ყველაფერი აქაა:
თეთრი და შავი,
მინორი და მაჟორი,
წარსული და მომავალი.
ყველაზე თვალსაჩინო ადგილას
სამშობლო და სიყვარული
გამოუფენია.
მაგრამ... ამ ყინვაში რომ მიგვიწვია,
ბუხრის ანთება რატომ დაავიწყდა?!

ფიქრები მწვერვალზე

მწვერვალი ვისთვის მონზლანია,
ვისთვის _ უშბაა;
დიდხანს მიდიხარ მწვერვალისკენ,
იქ _ წამით რჩები;
მწვერვალზე ყოფნა თუ
აღმასვლის ზენიტი არის,
ამავდროულად დასაწყისიც
არის დაღმასვლის;
...ყველა თავისი მწვერვალიდან
უცქერს სამყაროს.

* * *

ბედი არ გინდა?! _
თუ არც ერთს ბედი არა გვქონდა,
ამ დიდ ქალაქში
მაინცდამაინც
ერთმანეთს რად
გადავეყარეთ?
კი, მართალია,
მსგავსი მხოლოდ მსგავსში იხსნება,
მაგრამ ასე უფრო ცოდვა ვართ:
უბედობა ხომ ის ტვირთია,
რომელიც, ორი რომ იტვირთებს,
ორჯერ მძიმდება.

გაზაფხული და შემოდგომა

დღეს ჰავა ისე შეიცვალა,
წელიწადის ეს ორი დრო
აღარც არსებობს.
მე კი, ჯინაზე, ჩემს ლექსებში
მხოლოდ მათ ვტოვებ:
ჯერ რომ იების სილურჯე
მხიბლავს,
მერე ერთბაშად
ქრიზანთემების სიჭრელეში
გადავეშვები.

სიყვარულის “ინდიკატორი”

მჟავა. ლაკმუსი. წვეთ-წვეთად ტუტე
და რომელიღაც ერთი წვეთის დამატებისას
მუქ ლურჯ ფერს იღებს
წითელი ხსნარი.
ასე მასწავლეს. მაჩვენეს კიდეც.
საუბედუროდ,
ერთდროულად ისიც ვისწავლე,
სიტყვის, ჟესტისა და მიმიკის
ერთი წვეთისგან
ფერს როგორ იცვლის სიყვარული –
ვარდისფერიდან ნაცრისფერამდე.



სამი ნაცადი ჯადოქარი

მე ავადა ვარ:

ხერხემალში გამიტყდა სული,
ამქვეყნად ყოფნის
სიმწარეს რომ უმკლავდებოდა.
ექიმები კი ამას როგორ დაინახავენ?
მიზეზს სხეულში ეძებენ და _
სულ უშედეგოდ.
ჩუმად ვარ, ვიცდი,
იქნებ ისევ შემომიაროს
სამმა ნაცადმა ჯადოქარმა,
სამმა მკურნალმა:
რწმენა, იმედი, სიყვარული
მიშველის მხოლოდ.

თამაში
მ.მ.-ს

როგორ ცდებოდი, როგორ გეგონა
შენი ცალმხრივი სიყვარული
ყველაზე ძნელი.
ყველაზე ძნელი თურმე ისაა,
რომ აღარ გიყვარს და...
ის ვერ ამჩნევს.
მიზეზიც არა გაქვს, რომ წახვიდე, _
დედოფლად გაქცია, სულ
თვალებში შემოგციცინებს.
შენც ბედს ემორჩილები
და, გულგრილი,
ძალიან ძნელ როლს _
შეყვარებულის როლს თამაშობ.
თან გახსენდება,
რა სავსე იყო შენი ცხოვრება,
შეყვარებული,
გულგრილობას რომ თამაშობდი.



* * *

გაზაფხული რომ მოდის,
მზე რომ კაშკაშებს
და ხეები მწვანდება,
ო, როგორ მინდა და
როგორ მჭირდება
საკუთარი ეზოიანი სახლი,
მზის, სიმწვანის და
გაზაფხულის ნაწილი
რომ დავისაკუთრო....

შემოდგომა რომ დგება,
ნისლი რომაა და წვიმს,
ო, როგორ მინდა და
როგორ მჭირდება
დიდი ბუხრიანი ოთახი,
ჩემი წილი
სითბო და სივრცე
რომ დავისაკუთრო...

და როგორ მინდა,
როგორ მჭირდება
იმის ცოდნა,
სულ ის რატომ მჭირდება,
რაც არა მაქვს?

პარადოქსები

სმენა არ გაქვს და სიმღერა გინდა? _
დიდი ამბავი! შენ ისურვე და მყისვე ყველა _
ნაცნობ-უცნობი _ მოგემშველება.
გაჩნდება სცენა, დარბაზი და მაყურებელი,
ჰო, კიდეც _ ტაში...
უშურველადაც შეგაქებენ,
რადგანაც ჩვენში
უნიჭოზე ყველა გიჟდება.

მაგრამ თუ მღერი, მართლა მღერი,
მაშინ ცოდვა ხარ.
ყველას ეჭვი აქვს:
_ რატომ მღერის ასე ადვილად?
არავის სჯერა,
რომ მის გვერდით ყვავილობს ნიჭი...
და იხურება ყველა კარი,
ტაშიც არ ისმის...
 ახია შენზე! საქართველოში _
 ცოცხალს, ნიჭიერს _
ტაში მოგინდა?!



ვაშლის ხეს _ ზამთარში

ვარჯი _ უფოთლო, უყვავილო,
აწმყოა შენი,
რომელიც გულს არ ახარებს და
არც თვალს იზიდავს.
შენი ფესვები წარსულია,
თვითონ რომ არ ჩანს,
მაგრამ უმისოდ
მხოლოდ შეშად თუ გამოდგები.

მოვარდისფერო ყვავილები _
მომავალია,
გაზაფხულია, სულ რომ შევხარით,
თოთო ბავშვივით
არსებობის გამო რომ გვიყვარს.
მერე კი, როცა მომავალი იქცევა აწმყოდ,
ამ ყვავილების მომავალში ანუ ზაფხულში
უინტერესოდ,
ერთფეროვნად გადამწვანდები:
სხვა ყველაფერიც ამწვანდება
და ვინ შეგნიშნავს?!
შემოდგომაზე აჭრელდები კვლავ მიმზიდველად:
წითელ-ყვითელი შეერევა სიმწვანეს შენსას,
ბევრს მიიზიდავს უკვე მწიფე შენი ნაყოფიც...
რომ მორჩებიან შენს გამარცვას კაცი და ქარი,
შიშველ-ტიტველი, დაბრუნდები ისევ ზამთარში,
ოღონდ ეს არის,
ცოტა მეტი გექნება ფესვი,
შესაბამისად, ქარის ნაკლებ შეგეშინდება.
ანდა პირიქით:
ცოტა ახლოს იქნები ცასთან,
შესაბამისად, ქარის მეტად შეგეშინდება.
ეს _ პარადოქსი... წინ _ რამდენი მეტამორფოზა:
ერთფერი _ ჭრელი,
მიმზიდველი _ უინტერესო...
შენ კი ერთი ხარ _ ვაშლის ხე ხარ
მარად და მარად,
ყოველთვის აწმყოს შესაფერად გამოწყობილი.

* * *

დიდი ქალაქის დიდ ეზოში
ცხოვრობდა ქალი.
ბიჭი ჰყავდა და
უცნაური დასჩემდა ჩვევა:
ათასგვარ რამეს
ყიდულობდა მომავალ რძლისთვის.

.....
შეაზანზარა მიწისძვრამ და _
გაბზარა სახლი,
შემოიარა მერე ქურდმა _
წაიღო ოქრო,
რძალი კი, რძალი ჯერ არ იყო
და რომ გამოჩნდა,
ძველებურ სახლში შემოხედვა
.არც უფიქრია.
მოდიდან გასულ მის ტანსაცმელს
რა ბედი ერგო? _
ბოლო ხანებში
საშინაოდ ატარებს ქალი.
და ბუტბუტებენ მეზობლები:
_ რა რჯიდა ნეტავ,
ხვალ რა მოხდება, ქვეყანაზე
არავინ იცის.

ჯაჭვური რეაქციები (აბსურდული ლექსი)

ოთხივე კუთხით
სიყვარული ჩამოვარიგე
და, ვისაც შეხვდა,
მანაც ფანტა ოთხივე მხარეს,
სანამ ჯაჭვური რეაქცია
არ მისწვდა მზეს და
ყველანი ერთად სიცხისაგან
არ დავიბუგეთ.

ოთხივე კუთხით
სინანულის ცრემლი ვაფრქვითე,
ვინც გადააწყდა,
მანაც ღვარა ოთხივე მხარეს,
სანამ ჯაჭვური რეაქცია
არ მისწვდა ზღვას და
ყველანი ერთად მლაშე წყალში
არ ჩავიძირეთ.

ოთხივე კუთხით
ურწმუნობის ტევრები ვკაფე,
ვინც წინ შემომხვდა,
მანაც კაფა ოთხივე მხარეს,
სანამ ჯაჭვური რეაქცია
არ მისწვდა გზას და
ყველანი ერთად არ ავფეთქდით
უცხო ნაღმებზე.

რა იქნებოდა,
ერთ კუთხეში მივყუჟულიყავ...

ომი დაიწყო

*

სულ ერთ ღამეში
ქუჩებიდან გაქრა ღიმილი _
ომი დაიწყო.

*

ახლა, ამ წუთში
რას აკეთებ და რაზე ფიქრობ?
შენც, შენც ჩემსავით?
ჰო, ასეა _
ომი დაიწყო.

*

ისე მომინდა,
რადაც მთელის ნაწილი ვიყო,
ქუჩაში გავალ _
ერთით მეტი გახდება ხალხი.
ჩემი სიცოცხლის მერამდენე
ომი დაიწყო!

*

არაფერს ნიშნავს უკვე
სიცხე, მარტოობა და
დაუდევარი მეზობლისგან
მორწყული ბინა _
ომი დაიწყო.

*

ნულარ უწოდებთ
ამ ეკრანს ცისფერს _
ვარდისფერია.
დარდს და გლოვასაც
სწავლა უნდა _
ომი დაიწყო.

*

მოგრუხუნებენ ქართლის გზებზე
რუსის ტანკები
და, ღმერთმა ნუ ქნას, სულს
დააჩნდეს ეს ნაკვალევი,
ვით სათაფლიას _
ნაფეხური დინოზავრისა.
ომი დაიწყო, ქართველებო,
ომი დაიწყო!

*

ვაიმე, თურმე იცოდნენ და
თურმე ახსოვდათ...
თითქოს უჩინარ კარცერიდან
გამოუშვესო,
დღის სინათლეზე კვლავ გამოჩნდა
ქართული ლექსი, სიმღერა, ფილმი...
ქართული სული ძალას იკრებს _
ომი დაიწყო.

8-24 აგვისტო, 2008

ომის შედეგი

*

ჯერ ოთხი წლისაც არ გამხდარა
ეკატერინე
და, დიდები რომ საუბრობენ,
ხშირად ჩაურთავს:
_ იცით, მე ომის ამბები ვიცი...
თითიბავები ბომბებს ყრიდნენ,
გორი ჩაკეტეს,
ძლივს გადავრჩით,
ძლივს ჩამოვედით.

*

ქუხს და კალთაზე მექაჩება
პატარა გოგო:
_ ჩქარა, მიწაზე უნდა დავწვეთ,
დაიგრუხუნა!

*

_ მოვიდნენ!
რუსებს ჩვენი სახლი
და ეზო უნდათ! _
წარბშეკრული ყვირის ეკატო
და სასაცილო
პლასტმასის თოფით
“ცუდ ჯარისკაცებს”
დასდევს ეზოში.

*

ტელევიზორში ისევ ომზე
ლაპარაკობენ.

ეკატო უსმენს
და რატომღაც მე მეუბნება:
_ შენ საქართველო
რუსებისა ხომ არ გგონია?!
ის სულ ჩვენია.
_ ვინ გითხრა? _
განგებ ვაწყვეტინებ.
_ ჰო, მართლა, მართლა,
შენიცაა. _ მიმტკიცებს ისევ
და არც კი იცის,
ეს სიტყვები
როგორ მჭირდება.

სექტემბერი, 2008

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნოდარ ადგიშვილი

სანთლების
ყანა
სიხარულმა გამიხსენა
გულამდე ატანს...
მგზავრები
გაზაფხულია...
უფრო მცირესთვის...
წინაპართა ხმები
იმ დროს...
შენთან ყოფნა მიხაროდა...
სანთლები და...
მოვა ის დრო...
მკათათვე
აი, ჩემი საბატონო...
ობოლი გოგონები
ექსპრომტი
წავალ, სანთელს ავანთებ...
ი.-ს
სიმღერა
მხარე, სადაც...
ალბათ სჯობდა
დაუსტვინე, ჩიტო!
სამი ფერის ნანა
წყაროსთან
მივედი და მივეფერე
ბავშვობის სურათთან
და მაინც...
სულს მოეწყინა...
და დღემდე ასე...
უმთვარო ღამე
ჩემო მერცხალო...
მეფის ასული
რომ ამ ჩიტოვით...
ლ.-ს
ისევ მოდი...
მალე ალბათ...
რამეთუ გჯერა...
წამომყვება და წავიყვან...
მაგრამ არაფერს...
შენი ცაცხვი და მთვარე...
დედუფალა
ცრუობს, ცუდლუტობს...

დღეს კი...
ვინ გაიგებს...
რამდენი რამ...
ხომ არის...
მზე ამოვა და ჩავა
ქარების გამო
როცა ჩავალ...
ცისკრის ზარი
როცა ვხედავ...
ჩემი აღმოსავლეთი
მაინც...
გამოვა დარი...
ღმერთმა ნუ ქნას...
ქეთევან დედოფალი
ვუკოცნი ფესვებს...
ფიროსმანი
მაიკო ორბელიანის სურათთან
პაპამ თქვა
აგვისტოს ღამე
მეფე ლუარსაბ მეორე
ალექსანდრე საჯაიას ხსოვნას
ანა დედოფალს
მოლოდინით თვლელმა
9 აპრილის გახსენება

სხვა რა ვთხოვო...
ლურჯი ფრთები...
მეტი რა მექნა
იების კვამლი...
ზოგჯერ
ზამთრის მოტივები

ღამე

მამულს
სანამ ვუცქირო
იმ დღეს...
შორს დარჩა...
ვყვებით და ვყვებით...
რა საბრალოა...
დახრილი ჭერი
სიყმაწვილე
ჩიორა
თუ მოგენატრო...
ჩემს მკითხველს
ზღაპარ იყო...
სულ რომ მეგონა...
ნასოფლარი
გზები გვიხმობდნენ...
ხომ შეიძლება...

სამდურავი
სხვამ იმღეროს...
რალა ჩვენ...
როდის იყო...
მაგრამ რა მექნა...
შვილებს
გუზიკოს
ალები და ლალები
გაზაფხული
ჩამიარა...
ვდგავარ...
შენ მახლობლად
კოშკი დგას...
თიბათვე
როცა გიხსენებთ...
დაცხრი, დამშვიდდი...
მამის გახსენება
წასულა ის დრო...
ჩაიარა...
ავტოპორტრეტი

ლელა მეტრეველი

მოგონებები
ცისარტყელებზე
პატარა უფლისწულის
მონოლოგი
შეკითხვები ჩიტებს
*** (შემოგჩვევიან ნისლები...)
*** (თითქოს გრძნობებს...)
*** (ბევრი რამ უკვე ...)
ქართველ პოეტს
სიყვარულის გზაზე
*** (ვარსკვლავიანო ღამეო...)
პოეტი და მკითხველი
*** (ისევ ჩემთვის წვიმს...)
*** (დაასამარებს ყვითელ
ფოთლებს...)
სალამოს გზა
კითხვა
საახალწლო
ჩემს ლექსებს
პოეტის ეპიტაფია
დრო
ცოლის პასუხი
*** (უკვე ნაყოფი მოწეულია...)
*** (მოთქრიალებდა სიტყვების ...)
ქიმიური ექსპრომტი სიტყვას

*** (რა მოელის ამ ჩემს წიგნებს ...)

ხისადმი

აბეზარ ნაცნობებს

ტბის ოცნება

მაისია

*** (სულ რომ მსხვერპლი ვარ...)

*** (ორივე იყო: დარდით

სიკვდილიც...)

*** (მინდორს ფარავს თეთრი

ფარა ...)

*** (სადღაც ხომა ხართ..)

ლღობა

*** (გიშრის მძივი, ქარვის მძივი...)

ბარდნის

*** (რა უნდა მითხრა? _ ისედაც

ვიცი...)

*** (ცხადი რატომღაც ჯოჯოხეთს

...)

რუსები

ზღვის აღსარება

შენ ნაცვლად

ასოციაცია

*** (პოეტური _ ღამე არის ...)

ქართველებს

*** (ზღვას შევრჩი...)

*** (ბევრი ქარბუქი დამწევია...)

ქუჩა პერიფერიისკენ, დეკემბერი

ავი წინათგრძნობა

(სადავო) განსაზღვრებები

ხანდახან

ეკატერინეს ლექსები

ბავშვობა

სამშობლოს

სიყვარულს

*** (აჰა, დასრულდა ათას ერთი...)

*** (მკლავს სიყვარულის...)

*** (ცხოვრება ჰგავდა...)

*** (შუალამეა. ვერ ვიძინებ ...)

*** (ძველ ამბებს ჰყვება..)

უგაზაფხულოდ

ვაჟა-ფშაველას

შეკითხვა გალაკტიონს

პოეტს

ექვიანობა

1-ს

*** (წედისი თუ წერაქვია...)

სოლი – სოლითვე...

*** (უშენობის დადებითი მხარე...)

*** (_ მიმ-ვე-ლე!..)

ადამიანებს
შენი პირველი ტყუილი
“თანამედროვე” პოეზიის
კითხვისას
*** (ეტყობა, სული ...)
სასოწარკვეთა
*** (თუ სანთლად იწვი...)
202
ცისარტყელას
*** (ცრემლი გამიშრა...)
ვარაუდი
*** (მახსენდება ...)
*** (ბავშვობას ვერ ვთმობ...)
სიყვარული _ ადამიანს
*** (აღარც კი იცი...)
მკითხველებს
*** (გაჭაღარავდი...)
*** (სხვებს თუ არ ჰგავხარ ...)
*** (მარტივად წერო...)
სიყვარული
*** (წვიმს და თვითონაც ...)
მოგონება
განშორება
*** (შენ შეიძლება..)
*** (ცოდვა არა ვარ...)
*** (სულის კიბეზე ...)
*** (ისე უჩუმრად..)
ქართლის გზა
“მაღალი წნევა”
ურთიერთგავლენა
*** (სიტყვებს ვერ ვძებნი ...)
პირველი კოცნა
ფსიქოლოგიური ტესტი
რჩევა
*** (როგორ არ ვიცი...)
*** (ჩემთან თუ მოხვალ...)
*** (თქვენ მეკითხებით ...)
ლოცვა
მსხვერპლთშეწირვა
*** (“ვისაც ვუყვარვარ...)
*** (კიდევ კარგი, რომ მჩემი
გული...)
“მაინც გილოცავ...” ...
*** (რაკილა მარტო დაიბადა ...)
*** (რა ადვილია! ...)
*** (სანამ შეცდომას
მივხვდებოდი ...)
*** (ნუ მსაყვედურობ...)
ისევ პოეტს
*** (კიდევ რომ მსურდეს..)

ცისარტყელას

*** (იმ ათვლის სისტემაში...)

*** (ქასმინის ტოტი...)

ეკატერინე ჭავჭავაძეს

შთაბეჭდილება

ფიქრები მწვერვალზე

*** (ბედი არ გინდა?!...)

გაზაფხული და შემოდგომა

სიყვარულის “ინდიკატორი”

სამი ნაცადი ჯადოქარი

თამაში

*** (გაზაფხული რომ მოდის...)

პარადოქსები

ვამლის ხეს _ ზამთარში

*** (დიდი ქალაქის დიდ ეზოში...)

ჯაჭვური რეაქციები

ომი დაიწყო

ომის შედეგი